პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 98 (12012)
პარასკევი, 28 აპრილი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.



## ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი ფინეთში

საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს გასული წლის ნოემბერში ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია ფინეთში. ამჟამად მიღწეულია შეთანხმება, რომ ვიზიტი მოხდება მიმდინარე წლის 12-20 სექტემბერს.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### აქტოგაი-დრუჟბის რკინიგზის ხაზის მშენებელთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

აქტოგაი-დრუჟბის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე მიღწეული დიდი საწარმოო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის წოდება** და გადაეცეთ **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. **ამბროსენკოს** ალექსი პეტრეს-ძეს — ლიანდაგსაგები ამწის მემანქანეს.
2. **ურაზბაევს** აქბაის — ლიანდაგის მუშათა ბრიგადირს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გიორგაძე.**

**მოსკოვი, კრემლი**
1961 წლის 27 აპრილი.

## „კომუნისტის“ გამსვლელი რედაქციები

**ჩვენი** რესპუბლიკის მინდვრებსა და პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოების ცხარე დღეებია. სოფლის მუშაკებს შემოქმედებითი შრომა გაუჩაღებიათ — საფუძველს უყრიან შვიდწლედის მესამე წლის უხვ მოსავალს.

საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის სოფლის მუშაკთა დასახმარებლად გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ 26 აპრილიდან მოაწყო გამსვლელი რედაქციები გორის, წყალტუბოსა და ზუგდიდის რაიონებში. აქ ადგილობრივ რაიონულ გაზეთებთან ერთად, სოფლის მეურნეობის მუშაკთა ფართო მონაწილეობით, გამსვლელი რედაქციები უშვებენ საველე ფურცლებს, რომლებიც გამოვა 1 მაისამდე.




გამსვლელი რედაქციების მიზანია საქმიანი დახმარება გაუწიოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს რაიონის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებაში, აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა, გამოავლინონ და გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება.

ისინი მოწოდებული არიან ფხიზელი თვალი ადევნონ სოფლად ყველა სამუშაო უბანს, გამოავლინონ ხელშემშლელი მიზეზები და ოპერატიულად გააშუქონ სადღეისო საკითხები.

გამსვლელმა რედაქციებმა უკვე რამდენიმე ფურცელი გამოუშვეს, რომლებსაც კითხულობენ მხვნელ-მთესველები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის მუშაკები.

## აბრამ ბენაშვილი სიტყვის კაცია

საკოლმეურნეო მინდვრებზე შრომის ნამდვილი ზეიმია. აქ, ამ თავდადებულ შრომაში არიან ჩაბმული ჩვენი მექანიზატორები, ისინი, რომლებიც კიდევ უფრო იოლს ხდიან ადამიანის შრომას.

მოწინავე მექანიზატორთა რიგებმა ისე იმრავლა საქართველოში, რომ მათი სახელების ჩამოთვლა გაგვიძნელდება. ერთი მათგანია წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის საქვეყნოდ ცნობილი მექანიზატორი აბრამ ბენაშვილი. შარშან ხელის შრომის გამოუყენებლად დათესა და დაამუშავა 130 ჰექტარი სიმინდი და 61 ჰექტარი მზესუმზირა. ამ კოლმეურნეობის პირობებში ურწყავად მაღალი მოსავალი მიიღო.

წითელწყაროელი მექანიზატორი წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე მიიწვიეს. მან თათბირის მონაწილეებს მოუთხრო კოლმეურნე მექანიზატორთა სახელოვანი შრომის შედეგებზე. თათბირის ტრიბუნიდან ლაპარაკობდა შვიდწლედის ადამიანი.

აბრამ ბენაშვილმა პირობა მისცა თათბირის მონაწილეებს, რომ წელს ხელის შრომის გამოუყენებლად ასი ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 65 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიყვანოს მოურწყავად, სამოცი ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე — 20 ცენტნერი მზესუმზირა.

ლაპარაკობდა რა ქართველ შუქურებზე, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ქება-დიდებით მოიხსენია წითელწყაროელი მექანიზატორის შრომითი მამაცობა, მოუწონა ნამუშევარი და თქვა:

„ამხ. ბენაშვილის გამოცდილება მხარდაჭერის ღირსია. ეს არის ის გზა, რომელსაც უნდა დაადგნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები“.

ამ მაღალმა შეფასებამ შრომის ახალი ხალისი შემატა სახელოვან მექანიზატორს. რაიონში პირველმა დაამთავრა 100 ჰექტარზე სიმინდის თესვა. რა დაასვენებს ამ გაცხოველებული მუშაობის დროს, მან თავისი მანქანებით შირაქის მადლიან ველზე გადაინაცვლა. მზესუმზირას კულტივაციას შეუდგა. სამ დღეში 45 ჰექტარზე ჩაატარა კულტივაცია და უპატაკა კოლმეურნეობას.

ამ სურათზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა აბრამ ბენაშვილმა სიმინდის თესვა დაამთავრა და გასწია შირაქისაკენ.

# ვაშა მას, ვინც დროზე და კარგად თესავს!

## მეჩაიეებო! მზად ხართ ჩაის კრეფისათვის?

## მახარაძელ მეჩაიეთა სახელისა და ღირსების საქმე

— **სკკპ** ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ, — განაცხადა საუბარში საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა **ამხ. ვ. თოხაძემ,** — ახალი დიდი წარმატებებისათვის აღაფრთოვანა მახარაძელი მეჩაიეები.

როგორც ცნობილია, ჩვენმა მეჩაიეებმა შარშან თავი ისახელეს. სამშობლოს მისცეს 32.262 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს. ამ წარმატებებისათვის **მახარაძის რაიონს გადაეცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.** ეს ჯილდო მახარაძელ მეჩაიეებს გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ამხ. მ. ი. კუჩავამ.**

მახარაძელი მეჩაიეები მიღწეულს როდი სჯერდებიან, მათ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, გამოავლინეს რეზერვები, იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი და პირობა დადეს კვლავაც ასახელონ დედა-სამშობლო, ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებს.

**მახარაძელებმა გადაწყვიტეს წელს მკვეთრად გაადიდონ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა — საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 4.200 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მისცენ ქვეყანას 33.000 ტონა „მწვანე ოქრო“.** ეს იმას ნიშნავს, რომ შარშანდელთან შედარებით აწარმოონ 738 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი და წელს დასახული გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 2.420 ტონა ჩაის ნედლეული.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

მეტი ჩაისათვის ბრძოლაში პირველობისათვის იბრძვიან რაიონის სახელოვანი ადამიანები — ძიმითელი **მ. სალუქვაძე, კ. მედუა,** შრომელი **ი. კვაჭანტირაძე, ტ. ჩხაიძე,** მელექედურელი **ა. ჩიგოგიძე, ლ. შარაძე,** დვაბზუელი **ე. გოლიაძე,** ნაგომრელი **ლ. მაღულარია,** მერიელი **ნ. გოგატაძე,** ლაითურელი მუშები **ი. გორგოშიძე, ა. გორბატენკო** და სხვები.

## გუშინ ლაითურში დაიწყო ჩაის შერჩევითი კრეფა

რაიონის მეჩაიეები, რომლებიც საპირველმაისო და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე დგანან, მზად არიან ჩაის კრეფისათვის. გუშინ ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. პირველივე დღეს თავი ისახელეს მეჩაიე მუშებმა — ირა გორგოშიძემ მოკრიფა 40 კილოგრამი მწვანე ფოთოლი, ანასტასია გორბატენკომ — 50, ნაზი რუხაძემ — 45 კილოგრამი და სხვ.

ეჭვი არ არის მახარაძელი მეჩაიეები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით წელსაც ისახელებენ თავს მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში.

* * *

## შერჩევითი კრეფის წინ

**ქობულეთი. (26 აპრილი. ტელეფონით.).** რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი გამოცოცხლებაა. მეჩაიეები ყოველდღიურად ამოწმებენ მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთებს. ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია დაიწყო. კიდევ რამდენიმე დღე და ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა გაჩაღდება.

ამ სამუშაოს 28 აპრილს პირველი შეუდგება ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. კრეფა დაიწყება გაუსხლავად დატოვებულ 15 ჰექტარ პლანტაციაში. ასეთი ნაკვეთი მეურნეობაში 30 ჰექტარია.

მეურნეობის კოლექტივი წელს იმისათვის იბრძვის, რომ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მისცეს. სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობაში მზად არიან კრეფის დასაწყებად. წელს ხუცუბნელები 1.104 ტონას მოკრეფენ. ეს გეგმას 70 ტონით აღემატება.

## საპირველმაისო საჩუქრები

**გორი.** (საკ. კორ.). გორელი ფეიქრები დგანან საპირველმაისო ვახტზე და იბრძვიან ხერსონელ თანამოსაქმეებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. კომბინატის კოლექტივმა პირველი კვარტალის დავალება 104,6 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 366 ათასი მანეთის პროდუქცია.

**ჭიათურა. (საკ. კორ.). საპირველმაისო და საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების სათავეშია ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ორი კვირით ადრე შეასრულა ოთხი თვის დავალება და მარგანეცს მაისის ანგარიშში იძლევა.**

**წყალტუბო.** (საკ. კორ.). „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს შრომისმოყვარე კოლექტივმა პირველი კვარტალის დავალება 110,4 პროცენტით გაანაღდა და ათასობით ტონა ზეგეგმითი ნატეხი გუმბრინი ამოიღო.

მაღაროელები პირველი მაისის დღესასწაულს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებენ. ანზორ ფანჩულიძის კომუნისტური შრომის ბრიგადისა და ამ საპატიო სახელისათვის მებრძოლი შიო ხუციშვილის ცვლის კოლექტივები ახლა თვითეული ყოველდღიურად 10-15 ტონა ზეგეგმით გუმბრინს იღებენ.

## გუშინ მინდვრად




**გალი** სოფელ ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დაწინაურდა **პ. წულაია,** რომელმაც მწკრივად დათესა 15 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 10 ჰექტარისა. სოფელ ნაბაკევის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა **კ. ეხვაიამ** დათესა 16 ჰექტარი, გეგმა 160 პროცენტით შეასრულა. მოწინავეა პირველი გალის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი **ლ. ჭანტურია.** მან ერთ დღეს მწკრივად დათესა 17 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 10 ჰექტარისა.

**სამარეჯო** რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დათესილია 8.789 ჰექტარი სიმინდი, მათ შორის 2.514 ჰექტარი კვადრატულ-ბუდობრივად, შარშან ამავე დროისათვის კი დათესილი იყო 1.414 ჰექტარი. კვადრატულ-ბუდობრივად — 200 ჰექტარი. სოფელ ბოგდანოვკის კოლმეურნეობაში საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულმა მექანიზატორმა **სურენ ოგანეზოვმა** კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 15 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 10 ჰექტარისა.

**თეთრი წყარო** სიმინდის თესვის ტემპი ყოველდღე ძლიერდება. გეგმით გათვალისწინებული 4.880 ჰექტარიდან დათესილია 3.800 ჰექტარი სიმინდი. სოფლების კოდის, წინწყაროს და სამშვილდის კოლმეურნეობებმა სიმინდის თესვა დაამთავრეს.

სოფელ ბორბალოს კოლმეურნეობაში **დიმიტრი ჩომახაშვილმა** დათესა 17 ჰექტარი ნაცვლად 10-ისა.

## თესვა დაამთავრეს

**ყვარლის** რაიონის მესიმინდეებმა შეასრულეს სიმინდის თესვის ნაკისრი ვალდებულება, დათესეს 4500 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია 500 ჰექტარი.

სიმინდის თესვაში განსაკუთრებით ისახელა თავი სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნასყიდა კურდღელაშვილმა.

**სიღნაღის** რაიონის კოლმეურნეობებმა წელს შარშანდელთან შედარებით ადრე, 27 აპრილისათვის შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა. სულ დათესილია 8.796 ჰექტარი, შარშან ამავე რიცხვისათვის დათესილი იყო 4.761 ჰექტარი. კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია 5.610 ჰექტარი სიმინდი.

სიმინდის თესვა პირველმა დაამთავრეს და გეგმის ზევით დათესეს სიმინდი სოფლების ტიბაანის, ჯუგაანისა და ბოდბისხევის კოლმეურნეობებმა.

სიმინდის თესვის სამუშაოებში განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მექანიზატორებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი ივანე ბაიდოშვილი.

სოფლების ჯუგაანისა და ბოდბისხევის კოლმეურნე მექანიზატორები სიმინდის კულტივაციას შეუდგნენ.

**სამგორის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა 25 აპრილისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა. გათვალისწინებული 6.680 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 6.848 ჰექტარი.**

**სიმინდის თესვა გრძელდება. (საქ. დესი).**

# 165.000 ტონა ჩაისათვის!



**სურათზე:** ჩაის ბუჩქების შეწამვლა მექანიზებული წესით ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (მახარაძის რაიონი).

ფოტო ბ. დადვაძისა.

# რევოლუციური ბრძოლის სახელოვანი ფურცლები

### საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავის გამო

## 1.

**საქართველოს** მუშათა რევოლუციური მოძრაობის და საერთოდ ქართველი ხალხის ისტორიაში არის მრავალი დიდმნიშვნელოვანი და მუდამ სამახსოვრო მოვლენა, რომლის ყოველი წლისთავი აღაფრთოვანებს ხალხს კანონიერი ეროვნული სიამაყის გრძნობით. ასეთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს ლენინური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავი, რომელსაც საქართველოს მუშათა კლასი და მთელი მშრომელი ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს თავისი ისტორიული გამარჯვების — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან ერთად მიმდინარე წლის 12 მაისს.

საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციულად გაფორმება, მისი შექმნა, რაც 1920 წლის მაისში განხორციელდა, წარმოადგენდა ბოლშევიზმის მთელი მანამდელი განვითარების კანონზომიერ შედეგს, იგი მომზადებულ იქნა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და მუშათა მოძრაობის მთელი წინანდელი ისტორიით. ეს ისტორიულად ღირსშესანიშნავი მოვლენა ასევე განუყრელად დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ურყევად გატარებასთან. საქართველოს კომპარტიის შექმნით ახალი ეტაპი დაიწყო პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასა და სახელოვანი საგმირო საქმეებით აღსავსე საქართველოს მშრომელთა მთელ შემდგომ ისტორიაში.

## 2.

**საქართველოს** კომუნისტურმა პარტიამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. იგი იწყება პირველი მარქსისტული წრეებითა და ჯგუფებით, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში წარმოიშვნენ. 1893 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია. ეს იყო „მესამე დასის" ჯგუფი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ მ. ცხაკაია და ე. ნინოშვილი. ამ ჯგუფმა და განსაკუთრებით ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით 1895 წელს დაარსებულმა პეტროგრადის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა" მძლავრი ბიძგი მისცეს საქართველოს მარქსისტული წრეებისა და ჯგუფების ქსელის გაფართოებას.

1898 წელს თბილისში თითქმის უკვე არ იყო არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა, რომელშიც რევოლუციურ მუშაობას არ ეწეოდა მარქსისტული წრე. მათ შექმნაში ქართველ რევოლუციონერებთან და კავკასიის სხვა ეროვნებათა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა აფანასიევმა, რენიგერმა, ალილუევმა, ლუზინმა, კოგანმა, ფრანჩესკიმ, კოზერენკომ და სხვ., რომლებსაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით აგრეთვე ამიერკავკასიაში მარქსიზმის პროპაგანდის საქმეში.

საქართველოში მუშათა მასობრივი მოძრაობის აღმოცენებასთან დაკავშირებით XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო „მესამე დასის" დანაწილება მარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმართულებებად. მარქსისტული ნაწილი, რომელშიც შედიოდნენ ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი, ფ. მახარაძე, მჭიდრო კავშირს ამყარებს „ბრძოლის კავშირთან" და მთელ თავის მუშაობას წარმართავს ლენინური პრინციპების საფუძველზე. მეორე, ოპორტუნისტული ნაწილი, რომელსაც სათავეში ედგა ნ. ჟორდანია, გამსჭვალული იყო ნაციონალისტური და საერთოდ ოპორტუნისტული შეხედულებებით.

90-იანი წლების დამლევიდან, განსაკუთრებით კი 1901 წლიდან, ვ. ი. ლენინის მიერ საზღვარგარეთ „ისკრის" გამოცემის შემდეგ, ამიერკავკასიაში განსაკუთრებული გაქანება მიეცა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობას, რომლებსაც რსდმპ კომიტეტები ერქვა, პირველი ასეთი კომიტეტი შეიქმნა ჯერ კიდევ 1897 წელს. ეს იყო რსდმპ თბილისის კომიტეტი. უფრო გვიან, 1901 წლის გაზაფხულზე შეიქმნა რსდმპ ბაქოს კომიტეტი, ამავე წლის დეკემბრის ბოლოს — რსდმპ ბათუმის კომიტეტი. 1902 წლის ზაფხულში რსდმპ თბილისის კომიტეტის დადგენილებით თბილისში დაარსდა სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი, როგორც რსდმპ თბილისის კომიტეტში შემავალი ადგილობრივი ორგანიზაცია. შემდეგ ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ჯგუფები იქმნება ქუთაისში, გურიაში, სამეგრელოში, გორში, ჭიათურაში, მიხაილოვოში, ფოთში, სოხუმში, ხონსა და სამტრედიაში. ეს კომიტეტები და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები თავიდანვე ეწეოდნენ თანმიმდევრულ, შეუპოვარ ბრძოლას ოპორტუნიზმთან ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში, წარმართავდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობას.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა კავკასიაში, ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებას, ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა მათზე მტკიცე ხელმძღვანელობას, კავშირის დამყარებას სხვა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, გაზეთ „ისკრის" რედაქციასთან, როგორც საერთო პარტიულ ცენტრთან. ამ ამოცანების განხორციელებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რსდმპ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველმა დამფუძნებელმა ყრილობამ, რომელიც შედგა თბილისში 1903 წლის მარტის შუა რიცხვებში მ. ცხაკაიასა და ა. წულუკიძის ხელმძღვანელობით. ყრილობამ გააერთიანა რსდმპ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები კავკასიის კავშირში, აირჩია ხელმძღვანელი ცენტრი — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, გამოთქვა სრული სოლიდარობა ლენინური „ისკრისა" და „ზარიასადმი", მოიწონა მათ მიერ შემუშავებული ტაქტიკა, პროგრამა, პარტიის აგების ლენინური ორგანიზაციული გეგმა და ისინი საფუძვლად დაუდო თავის შემდგომ მუშაობას.

ეს იმას ნიშნავდა, რომ 1901-1903 წლებში კავკასიელი ლენინელების ი. სტალინის, მ. ცხაკაიას, ლ. კეცხოველის, ა. წულუკიძის, ს. შაუმიანის, ფ. მახარაძის და სხვ. მიერ გაწეული დიდი იდეური და ორგანიზაციული მუშაობის შედეგად, ვ. ი. ლენინის მხრივ მუდმივი ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად უზრუნველყოფილ იქნა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ლენინურ-ისკრული მიმართულების გამარჯვება.

მალე რსდმპ ისტორიული მეორე ყრილობის შემდეგ, რომელმაც დასაბამი მისცა ბოლშევიზმს, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობას და როგორც პოლიტიკურ პარტიას, ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტებისა და ჯგუფებისაგან, ისევე როგორც პეტერბურგსა, მოსკოვსა, სამარასა, კიევსა, მინსკსა და სხვა ადგილებში, საქართველოშიც წარმოიშვნენ ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციები.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ვ. ი. ლენინის იდეური და წარმმართველი ხელმძღვანელობით წარმოშობის პირველი დღეებიდანვე განვლეს გმირული ბრძოლებისა და მძიმე განსაცდელის წლები. რუსეთის ქარიშხლიანი პირველი რევოლუციის პერიოდში, სტოლიპინის რეაქციის სუსხიან წლებში, რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის ხანაში, პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მთელ ჩვენს პარტიასთან ერთად განვლეს ბრძოლის დიდი სკოლა და გამოიწვრთნენ ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმად.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ცხოვრებაში ახალი ფურცლები გადაშალა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომელმაც დაამსხვრია ცარიზმის თვითმპყრობელური მონარქია და დასაბამი მისცა მკვეთრ გარდატეხას მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

საქართველოს ბოლშევიკებმა თებერვლის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ხელი მოჰკიდეს რეაქციისა და იმპერიალისტური ომის შედეგად დასუსტებული და ბევრგან დაშლილი ორგანიზაციების აღდგენასა და მუშაობის გამოცოცხლებას, მათს ორგანიზაციულ და იდეურ განმტკიცებას. უკვე 1917 წლის ზაფხულიდან ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაციები არსებობენ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ჩოხატაურში, ზუგდიდში, გორში, ლანჩხუთში, ხონში, ოზურგეთში და მთელ რიგ სხვა ადგილებში. თბილისში გამოსვლას იწყებენ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე ბოლშევიკური ლეგალური გაზეთები.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ვ. ი. ლენინის გენიალური აპრილის თეზისების, პარტიის აპრილის კონფერენციისა და პარტიის VI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პოპულარიზაციისა და განხორციელებისათვის. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წარმატებითი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველ ყრილობას, რომელიც რსდმპ (ბ) ც. კ-ის მითითებით თბილისში შედგა 1917 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

ყრილობამ გააერთიანა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები კავკასიის სამხარეო ორგანიზაციად და აირჩია ხელმძღვანელი ცენტრი — რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი. ეს იყო უაღრესად საგულისხმო ღონისძიება კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. მთელი რიგი წლების შემდეგ კავკასიელმა ბოლშევიკებმა კვლავ უზრუნველყვეს მძიმე პოლიციური დევნის შედეგად დაქსაქსული და ერთმანეთისაგან მოწყვეტილი ორგანიზაციების გაერთიანება და ძლიერი ხელმძღვანელობის უნარის მქონე ცენტრის შექმნა. რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი თითქმის მთელი სამი წელი — 1920 წლის მაისამდე ედგა სათავეში კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს. ამ ხნის განმავლობაში იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის ბელადის — ვ. ი. ლენინის და მისი მოწაფის — ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობითა და დახმარებით წარმართავდა კავკასიის მშრომელთა ბრძოლას ნაციონალისტური მთავრობებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ საბჭოების ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით მრავალი დიდი და გაბედული ღონისძიება იქნა განხორციელებული საქართველოს ბოლშევიკების მიერ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე. კიდევ უფრო მრავალმხრივი ღონისძიებების გატარება მოუხდა სამხარეო კომიტეტს მას შემდეგ, რაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ვ. ი. ლენინის მეთაურობით გაიმარჯვა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, ძალაუფლების ხელში ჩაგდების მრავალი ცდა 1917 წლის ბოლოს, გლეხთა ხშირი აჯანყებები და მუშათა გაფიცვები 1918 წელს, დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია და შეიარაღებული აჯანყების მოწყობა 1919 წელს, საპირველმაისო დემონსტრაცია და მენშევიკური რეჟიმის დამხობის მიზნით შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ცდა 1920 წლის მაისში — ასეთია მოკლედ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკების მოღვაწეობასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

მაგრამ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ამ დროის მოღვაწეობაში იყო მრავალი სხვა ასევე არსებითი მნიშვნელობის მხარეებიც. ეს იყო ბრძოლა საკუთარი რიგების იდეური, ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, მასების მიმხრობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების იდეისა და საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო და ურღვევი კავშირის აღდგენის აუცილებლობის სისტემატური პროპაგანდა, შეუპოვარი ბრძოლა მენშევიკების, ესერებისა და სხვა ჯურის პარტიებისა და ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც დაბრკოლებას წარმოადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე.

ასეთი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკების მოღვაწეობის ძირითადი შინაარსი მოყოლებული 1917 წლის ოქტომბრიდან 1920 წლის ზაფხულამდე, ე. ი. რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის არსებობის პერიოდში.

## 3.

**საბჭოთა** რუსეთისა და მენშევიკურ საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებულ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება და დამყარებულ იქნა დიპლომატიური ურთიერთობა. შინაგანი და გარეშე ხასიათის სიძნელეებმა იძულებული გახადეს მენშევიკური მთავრობა მოეთმინა თავის „დემოკრატიულ" რესპუბლიკაში საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი. სამშვიდობო ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო მენშევიკური მთავრობის ხშირი რეპრესიების შედეგად თითქმის დანგრევამდე მიყვანილი პარტიული ორგანიზაციების გამოცოცხლების საქმეს.

ჯერ-ერთი, სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამ აიძულა მენშევიკური მთავრობა რამდენადმე აეღო ხელი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აქტიური კონტრრევოლუციური პოლიტიკის გატარებაზე და დასდგომოდა „ლოდინის პოლიტიკას", რასაც უდავოდ ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთისათვის. სწორედ ეს ფაქტი ჰქონდა მხედველობაში ს. ორჯონიკიძეს, როცა იგი იმ დღეებში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრთან ბ. კვირკველიასთან პირდაპირი მავთულით საუბრის დროს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას განიხილავდა როგორც „ლენინურ შესვენებას, საჭიროს პოლონეთის ფრონტის სწრაფი ლიკვიდაციისა და მენშევიკების პროვოკაციის ასალაგმავად".

მეორე, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამ საგრძნობლად შეარყია ანტანტის სახელმწიფოთა, განსაკუთრებით კი ინგლისის პოზიციები საქართველოში. მენშევიკური მთავრობა, რომელიც თითქმის ორი წელი მონურად იხრიდა ქედს ინგლისის წინაშე, სამშვიდობო ხელშეკრულების გავლენითა და მასების ზემოქმედების შედეგად იძულებული გახდა „გაეწყვიტა მეგობრული კავშირი ინგლისის სამხედრო ხელისუფლებასთან". ურთიერთობის გამწვავება განსაკუთრებით დაკავშირებული იყო ბათუმის საკითხთან. საქმე იმაში იყო, რომ სამშვიდობო ხელშეკრულებით ბათუმი გადაეცა საქართველოს, ხოლო ინგლისი მას არ სთმობდა და იქ შემოიღო საგანგებო წესები, რამაც საბოლოოდ ჩამოხადა ნიღაბი ინგლისის აგრესიულ ზრახვებს საქართველოს მიმართ. მენშევიკური მთავრობის მიერ ინგლისის სამხედრო ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაწყვეტისაკენ აღებულმა კურსმა ფართო მხარდაჭერა ჰპოვა მშრომელ მასებში. არსებობდა რკპ (ბ) ც. კ-ის მითითება, რომელიც ავალებდა საქართველოს ბოლშევიკებს მხარი დაეჭირათ მენშევიკური მთავრობისათვის ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში. მდგომარეობის გართულების შემთხვევაში კი საბჭოთა რუსეთის მთავრობაც შესაძლებლად სთვლიდა საქართველოსათვის სამხედრო დახმარებას, თუ ასეთის მოთხოვნა იქნებოდა მთავრობის მხრივ.

ყოველივე ამან, სამშვიდობო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულმა ამ შედეგებმა რამდენადმე გააადვილეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმე საქართველოში, სხვა მიმართულებით წარმართეს რევოლუციის შემდგომი განვითარება.

სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას ძირეული გარდატეხა მოჰყვა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაშიც. პარტიულ ორგანოებს, რომლებსაც ხელშეკრულების ძალით ეძლეოდათ „თავისუფალი არსებობისა და მოქმედების უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და თავისუფალი გამოცემლობის უფლება", შესაძლებლობა მიეცათ აღედგინათ თავიანთი ძალები და გაეჩაღებინათ დიდი რევოლუციური მუშაობა მასებში. საკმარისია ითქვას, რომ ხელშეკრულების დადების პირველ დღეებში მენშევიკურმა მთავრობამ პატიმრობიდან გაათავისუფლა 900-მდე კომუნისტი.

სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებულმა ლეგალიზაციამ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე დააყენა მომავალ მუშაობასთან დაკავშირებული მთელი რიგი კითხვები: რა მიმართულებით უნდა წარმართულიყო პარტიული ორგანიზაციების შემდგომი მუშაობა საქართველოში, რა სახელწოდებით უნდა ეწარმოებინა შემდგომი მუშაობა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს, მით უმეტეს, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1920 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით შექმნილი იყო რკპ (ბ) ც. კ-ის კავკასიის ბიურო. გასარკვევი იყო აგრეთვე საკითხი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე პატიმრობიდან განთავისუფლებული კომუნისტები?

აი კითხვები, რომლებიც მოითხოვდნენ დაუყოვნებლივსა და გარკვეულ პასუხს.

## 4.

**როგორც** ყოველთვის, ამჯერადაც საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ხელშეკრულების დადებით შექმნილ ახალი ვითარების გარკვევაში საჭირო დახმარება გაუწია რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც სამშვიდობო ხელშეკრულების დადების პირველ დღეებშივე შეიმუშავა ნათელი დირექტივები ყველა აღნიშნულ საკითხზე. რკპ(ბ) ც. კ-ის ამ დირექტივებში, რომლებიც ს. ორჯონიკიძის მეშვეობით ეცნობა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, ნათქვამი იყო, რომ რკპ (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებით კავკასიის სამხარეო კომიტეტი უნდა ყოფილიყო დათხოვნილი, რომ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მუშაობა უნდა ეწარმოებინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელწოდებით. რაც შეეხებოდა პარტიულ ორგანიზაციებს, მათ თავიანთი შემდგომი მუშაობა უნდა წარემართათ ლეგალურად.

რკპ(ბ) ც. კ-ის აღნიშნული დირექტივები განხილულ იქნა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის სხდომაზე, რომელიც შედგა მ. ცხაკაიასა და ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით 1920 წლის 20 მაისს. მიღებულ იქნა დადგენილება რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის როგორც კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოს შემდგომი მოქმედების სტრუქტურის გარდაქმნის შესახებ. ამავე დღეს, 20 მაისს, შეიქმნა საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში უმთავრესად შევიდნენ რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ყოფილი წევრები. ამ დღიდან იწყება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შექმნა არსებითად ნიშნავდა საქართველოს კომპარტიის შექმნას იმ ორგანიზაციებისაგან, რომლებიც არსებობდნენ მაშინ საქართველოში და რომლებსაც თითქმის მთელი ორი ათეული წლის ისტორია ჰქონდათ.

საქართველოს კომპარტიის შექმნა მარტო ფორმალური, სახელწოდების შეცვლის საკითხი როდი იყო. იგი წარმოადგენდა დიდად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას. ჯერ-ერთი, იგი იმაზე მიუთითებდა, რომ ამიერიდან საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები ორგანიზაციულად გაფორმდნენ საქართველოს კომუნისტურ პარტიად, რომელსაც ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი ცენტრი, ასევე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საკუთარი ხელმძღვანელი ცენტრით საქართველოს კომპარტიის შექმნა აადვილებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად მშრომელთა მობილიზაციისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს.

საქართველოს კომპარტიის ახლადშექმნილმა დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა 22 მაისს მოწოდებით მიმართა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციასა და წევრს". ამ მოწოდებაში ლაპარაკი იყო იმ მიზეზებზე, რომლებმაც დღის წესრიგში დააყენეს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გაუქმება, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის არჩევა.

საქართველოს კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მოწოდება ავალებდა საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციასა და პარტიის ყველა წევრს გაეგრძელებინათ პარტიული მუშაობა „გაორკეცებული ენერგიით".

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის სტრუქტურის გარდაქმნასთან დაკავშირებით 1920 წლის 22 მაისს მოხდა საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელი ცენტრის რეორგანიზაციაც. ნაცვლად რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა, შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი მეორე დღეს, 23 მაისს, კომკავშირის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით, რომელიც თავისი შინაარსით საქართველოს კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მოწოდების ანალოგიური იყო.

საქართველოს კპ (ბ) დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა 1920 წლის 28-29 მაისს, თბილისში მოიწვია გაფართოებული პარტიული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის წევრები და ადგილობრივი მსხვილი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირის ძირითად ამოცანას შეადგენდა უახლოესი დროისათვის ტაქტიკის შემუშავება და საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის მოსაწვევად წინასწარი მოსამზადებელი მუშაობისათვის ღონისძიებათა დასახვა.

თათბირმა მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან, მოხსენება მიმდინარე მომენტზე და განიხილა საორგანიზაციო საკითხები. მომხსენებლებმა ცხადყვეს, რომ, მიუხედავად მენშევიკების ყველა ცდისა რეპრესიების გზით მოეხდინათ ბოლშევიკური ორგანიზაციების ლიკვიდაცია, ბოლშევიკური ორგანიზაციები მტკიცდებოდნენ და იზრდებოდა მათი გავლენა მშრომელ მასებში.

ცენტრალური კომიტეტის თათბირის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. ამ საკითხის გარშემო მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება წარმოადგენს საბჭოთა რუსეთში შინაგან კონტრრევოლუციასა და ინტერვენტებზე წითელი არმიის გამარჯვების შედეგს.

რეზოლუციაში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით მენშევიკური მთავრობა, რომელიც ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აქეთ-იქით აწყდებოდა, დახმარებასა და საფარს ეძებდა ხან გერმანია-თურქეთის კოალიციაში და ხან ანტანტასთან, ნებით თუ უნებლიეთ საბჭოთა რუსეთის ორბიტაში აღმოჩნდა, რაც არსებითად მოასწავებდა მის კაპიტულაციას.

შემდეგ რეზოლუციაში ლაპარაკი იყო, რომ ცენტრალური კომიტეტის თათბირმა, სამშვიდობო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით შექმნილი ახალი ვითარების გამო უარი განაცხადა შეიარაღებულ აჯანყებაზე და ყურადღების ცენტრი გადაიტანა ბრძოლის მშვიდობიან საშუალებებზე, სისხლით მოპოვებული ლეგალური მუშაობის უფლების შენარჩუნებაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს კომპარტიამ დასახა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების კურსი.

ამ გზით იგი ფიქრობდა დარბეული ორგანიზაციების აღდგენას, ოქტომბრის რევოლუციის იდეების პროპაგანდის გაძლიერებას, მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური საშინაო და საგარეო პოლიტიკის მხილებას და მასების პოლიტიკურად მომზადებას, პოლიტიკური არმიის შექმნას, რათა საჭირო მომენტში კვლავ ძალდატანებითაც გაელაშქრა არსებული წყობილების დასამხობად. ეს შორს გამიზნული გონიერი პოლიტიკა იყო, რომელიც ითვალისწინებდა როგორც საქართველოში შექმნილ ვითარებას, ისე საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობას.

დასასრულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო ლეგალური პარტიული ორგანიზაციების აღდგენის აუცილებლობაზე, პარტიის წევრთა რიგების ზრდისა და დისციპლინის განმტკიცების საჭიროებაზე, მშრომელთა კლასობრივ ორგანიზაციებში: მუშათა და გლეხთა საბჭოებში, მუშათა პროფესიულ კავშირებში, მუშათა კოოპერატივებში, გლეხთა კავშირებში და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესვლასა და ენერგიული მუშაობის გაჩაღებაზე. რეზოლუცია ავალებდა კომუნისტებს ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში წამოეყენებინათ და დაეცვათ მშრომელთა რევოლუციური უფლებები, საბჭოთა ხელისუფლების იდეა, ყველა მეზობელ ხალხთა მშრომელებთან და განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთთან ძმური სოლიდარობისა და მჭიდრო კავშირის იდეა.

**თათბირმა** განიხილა ორგანიზაციული საკითხი. ამასთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ დროებით ყრილობის მოწვევამდე პარტიული ორგანიზაციების შექმნა უნდა მომხდარიყო პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის დანიშვნით. რეზოლუცია ავალებდა დროებით ცენტრალურ კომიტეტს განესაზღვრა ყრილობის დღის წესრიგი და წარმომადგენლობის ნორმები, შეემუშავებინა ყრილობის დროისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტები. რეზოლუცია მიუთითებდა პარტიული მექანიზმის არსებობის ლეგალურ ფორმებთან შეგუების საჭიროებაზე. შემდეგ მასში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია ერთ-ერთი რაზმია მესამე კომუნისტური ინტერნაციონალისა, რომ ყრილობის მოწვევამდე დროებითი ცენტრალური კომიტეტი არის საქართველოს ყველა კომუნისტური ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი პარტიული ორგანო.

საქართველოს დროებითი ცენტრალური კომიტეტის თათბირის გადაწყვეტილებით საქართველოს კომპარტიის ყრილობის მოწვევა დანიშნულ იქნა 1920 წლის ივლისის შუა რიცხვებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის თათბირმა მიიღო საქართველოს კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია პარტიის ძველი წევრების ხელახალი აღრიცხვისა და ახალ წევრთა მიღების შესახებ. მთელი ეს სამუშაო უნდა შეესრულებინათ ადგილობრივ კომიტეტებს, რისთვისაც მათ უნდა შეექმნათ გამოცდილი ამხანაგებისაგან სარეგისტრაციო ბიუროები.

როგორც ინსტრუქციაშია აღნიშნული, პარტიაში ახალ წევრთა მიღება უნდა მომხდარიყო ორი წევრის რეკომენდაციით. ახლად მიღებული პირი ნამდვილ წევრად ითვლებოდა განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში მის წინააღმდეგ არ იქნებოდა შეტანილი რაიმე მამხილებელი მასალა სარეგისტრაციო ბიუროში. ახლად მიღებულ წევრს კი მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ეძლეოდა პარტიის წევრად მიღებაზე რეკომენდაციის მიცემის უფლება.

თათბირმა საქართველოს კომუნისტური პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტი შეავსო ახალი წევრებით და საქართველოს პარტიული ორგანიზაციებიდან მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად აირჩია დელეგატები: მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ა. ნაზარეტიანი, ს. თოდრია და სხვ. თათბირმა მათ დაავალა საქართველოს ორგანიზაციების სახელით მოეხსენებინათ კონგრესისათვის, რომ ამიერიდან ისინი შედიან კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში და იმუშავებენ მისი იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირმა, როგორც მის შესახებ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ანგარიშშია აღნიშნული, ორ დღეს გასტანა და დღის წესრიგის ყველა საკითხი „მეტად ერთსულოვნად" განიხილა.

საქართველოს კპ (ბ) ც. კ-ის მაისის თათბირმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. მან მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებული რეზოლუციით განამტკიცა საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნა თავისი ხელმძღვანელი ცენტრით — საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტით.

საქართველოს კომპარტიის შექმნას მხარი დაუჭირა რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. 1920 წლის 31 ივლისს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ განიხილა საკითხი „საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის" შესახებ. აღნიშნული საკითხის გარშემო მიღებული დადგენილებით საორგანიზაციო ბიურომ განამტკიცა საქართველოს კომპარტიის შექმნა და მას მიანიჭა პარტიის საოლქო ორგანიზაციის უფლებები. იგი უნდა დამორჩილებოდა რკპ (ბ) ც. კ-ის კავკასიის ბიუროს. საორგანიზაციო ბიუროს დადგენილებით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას მომსახურება უნდა გაეწია მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოსახლისათვის დამოუკიდებლად მისი ნაციონალური კუთვნილებისა.

რკპ (ბ) ც. კ-მა ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიების შექმნის ამოცანა ჯერ კიდევ ადრეც დააყენა. გამომდინარე რა პარტიის მერვე ყრილობის დადგენილებიდან, რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიურომ 1920 წლის 3 იანვარს სომხეთში კომუნისტური მუშაობის შესახებ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა.

„ადგილობრივ შოვინიზმთან ბრძოლა და რუსეთის ცარიზმის უღელქვეშ მყოფ ერებს შორის სოციალისტური რევოლუციის პროპაგანდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა აუცილებლად ხდიან, რათა ყოფილი რუსეთის იმპერიის შიგნით ფაქტიურად წარმოშობილ „დამოუკიდებელ" სახელმწიფოებში კომუნისტური ორგანიზაციები დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიების სახით მუშაობდნენ".

## 5.

**მხოლოდ** ოთხი ათეული წელი გვაშორებს იმ ისტორიული დღეებისაგან, როცა შეიქმნა საქართველოს კომპარტია. სკკპ ც. კ-ის ყოველდღიური ლენინური ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის შედეგად ამ წლების მანძილზე საქართველოს კომპარტია იზრდებოდა და იწრთობოდა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ ზრდასთან და აყვავებასთან ერთად. იგი იზრდებოდა და იწრთობოდა იდეოლოგიურ ფრონტზე მენშევიკების, ესერების, ნაციონალ-დემოკრატების, ფედერალისტებისა და სხვა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაციონალ-უკლონისტების, მემარჯვენე და მემარცხენე გადახრების და სხვა ჯურის ანტიპარტიული გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს კომპარტია ყოველთვის წარმოადგენდა საიმედო დასაყრდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტულ, ანტიპარტიულ მიმდინარეობათა მხილებასა და იდეურ განადგურებაში. მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის ბურჟუაზიული დრომოჭმული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულებამ იგი გამოჭედა დიდ და ძლიერ არმიად. თუ 1920 წლის მაისისათვის საქართველოს კომპარტია ძლივს ითვლიდა თავის რიგებში 10 ათასამდე წევრს, თავის 40 წელს იგი ხვდება 220 ათასიანი არმიით.

ემზადება რა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და კომპარტიის გაფორმების 40 წლისთავის ზეიმისათვის, ქართველი ხალხი აღსავსეა ღრმა რწმენით, რომ იგი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით, კომუნიზმისათვის, მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლის ამხანაგ ხრუშჩოვის მეთაურობით საბჭოთა კავშირის ყველა ძმურ ხალხებთან ერთად ახალ და ახალ ისტორიულ გამარჯვებებს მოიპოვებს კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი წინსვლის გზაზე.

**გ. ჟვანია,**
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა ერთი ჯგუფი, არჩეული საქართველოს კპ პირველი ყრილობის მიერ. (ზევით — მარცხნიდან) გ. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ს. თოდრია, ლ. ღოღობერიძე, ს. მამულია, (ქვევით) ა. ნაზარეტიანი, ი. ბოლქვაძე, ს. გუბელი, ა. ჯატიევი, მ. ჩოდრიშვილი და ვ. ბახტაძე.

## „ლექტორის დღე"

**ამას** წინათ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიის ისტორიის კათედრის ინიციატივით თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში გაიმართა „ლექტორის დღე". კათედრის წევრები განაწილდნენ საამქროებში და ერთდროულად მთელ ქარხანაში რვა ადგილას ჩატარდა ლექციები.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ესაიაშვილმა წაიკითხა ლექცია „ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ", დოცენტმა ნ. მაილიანმა — „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის შესახებ", დოცენტმა ვ. მგალობლიშვილმა — „კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1960 წლის ნოემბრის თათბირის საერთაშორისო მნიშვნელობა", დოცენტმა ა. ლურწკაიამ — „კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელება საქართველოში", დოცენტმა ა. მესტვირიშვილმა — „ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოებში მუშათა კლასის ფორმირების საკითხისათვის 1880-1890 წლებში", ლექტორმა გ. ამიროვმა — „ორი სხვადასხვა სოციალური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ", ლექტორმა ა. აკიმოვმა — „ომის თავიდან აცილების შესაძლებლობა თანამედროვე პირობებში", ლექტორმა ი. უჯმაჯურიძემ — „1919 წლის აჯანყებები საქართველოში".

ლექციები დიდი ინტერესით ერთდროულად მოისმინა ათასზე მეტმა მუშა-მოსამსახურემ. მათ კმაყოფილება გამოთქვეს ლექციების გამო და მადლობა გადაუხადეს ლექტორებს.

ლექციების შემდეგ ლექტორებმა დაათვალიერეს ქარხანა, გაეცნენ საამქროებს, მუშაობის პროცესებს, ესაუბრნენ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს.

პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიის ისტორიის კათედრის ეს ინიციატივა უდავოდ მოსაწონია. იგი ხელს უწყობს წარმოებასთან მეცნიერ მუშაკთა კავშირის განმტკიცებას.

**ს. თოხაძე,**
სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანი.

## „აგიტატორის ბლოკნოტის" საიუბილეო ნომერი

**გამოვიდა** „აგიტატორის ბლოკნოტის" მერვე ნომერი. იგი სრულებით არა ჰგავს წინა ნომრებს. ერთიორად გადიდებულია ფორმატი, და ასე გამოვა მომავალშიც.

„აგიტატორის ბლოკნოტის" მერვე ნომერი მთლიანად მიძღვნილია საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავისადმი.

ამ ნომერში აგიტატორები წაიკითხავენ შემდეგ მასალებს: „დიად გამარჯვებათა 40 წელი", „ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ცხოველმყოფელი ძალა", „გაუხარებელი წარსული, ბედნიერი აწმყო და მომავალი", „რესპუბლიკის მშრომელთა სიამაყე" და სხვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაშინგტონის ვერაგული პოლიტიკა ჩაიფუშა

## ვ. ა. ზორინის პრეს-კონფერენცია

**ნიუ-იორკი,** 27 აპრილი. (საქდესი). გუშინ დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინაში ნიუ-იორკში პრეს-კონფერენცია გამართა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა გენერალური ასამბლეის XV სესიის მეორე ნაწილზე ვ. ა. ზორინმა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხები სესიამ განიხილა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის თვალსაზრისით, რომელიც მიღებულ იყო საბჭოთა კავშირის ინიციატივით გასული წლის დეკემბერში. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა გადაწყვეტილება, მოაგონა დამსწრეთ ვ. ა. ზორინმა, გენერალურმა ასამბლეამ მიიღო, მიუხედავად კოლონიური სახელმწიფოების წინააღმდეგობებისა, მიიღო ბელგიის, პორტუგალიის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა და სხვა ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ხმების წინააღმდეგ.

საბჭოთა დელეგატმა თქვა, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერს ანგოლელი ხალხის სამართლიან ბრძოლას პორტუგალიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ სესიის მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კონგოს პრობლემას, და ხაზი გაუსვა, რომ ამ ქვეყანაში მდგომარეობა არამარტო შემაშფოთებელი რჩება, არამედ კიდევაც უარესდება. ასამბლეამ მიიღო რეზოლუციები, თქვა მან, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ უზრუნველყოფენ კონგოში მდგომარეობის ნამდვილ ნორმალიზაციას. სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის წინა გადაწყვეტილებათა შესრულებას აფერხებს ჰამარშელდი, რომელიც კოლონიურ სახელმწიფოთა ნებას ასრულებს. ის გარემოება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, განაგრძო ზორინმა, არ შესწევს უნარი ჭეროვნად გადაწყვიტოს კონგოს პრობლემა, ესე იგი კონგოელი ხალხის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტოს იგი, რა თქმა უნდა, არ ამაღლებს მის საერთაშორისო ავტორიტეტს. კონგოს პრობლემას გადაწყვეტს თვითონ კონგოელი ხალხი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეერთებული შტატების აგრესიის საკითხის განხილვა დაემთხვა იმას, რომ კუბის ნაპირებზე გადასხეს ინტერვენტების შეიარაღებული ბანდები, რომლებიც მოაწყეს, აღჭურვეს და ყველა სახეობის იარაღით მოამარაგეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ აგრესიული მოქმედების განხილვის მთავარი შედეგი, თქვა ზორინმა, ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ცდები — დაიცვან და გაამართლონ თავიანთი ვერაგული პოლიტიკა კუბის რესპუბლიკის და მისი რევოლუციური მთავრობის მიმართ — მთლად ჩაიფუშა. შეერთებული შტატების დელეგაციამ ვერ გაიყვანა გადაწყვეტილება, რომ კუბის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების საკითხის განხილვა გადასცემოდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას, რომელსაც თვითონ შეერთებული შტატები უწევენ კონტროლს. დამახასიათებელია, რომ ამ წინადადების წინააღმდეგ ამჯერად ლათინური ამერიკის ზოგიერთმა ქვეყანამაც კი მისცა ხმა. ამრიგად, მარცხდება ამერიკის შეერთებული შტატების ცდები, რომ საკითხები, რომლებიც ლათინური ამერიკის ქვეყნებს ეხება, მიიჩნიონ თითქოს და შეერთებული შტატების საშინაო საქმედ და წაართვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლება დაიცვას ამ კონტინენტის ქვეყნები აგრესორთა ხელყოფისაგან.

ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები, განაგრძო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, არ მალავენ თავიანთ განზრახვებს კვლავ სცადონ ჩაახშონ კუბის რევოლუცია ახალ-ახალი აგრესიული მოქმედებით. ამიტომ კუბელი ხალხის ყველა მეგობარი ფხიზლად უნდა იყოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხედველობიდან არ უნდა გაუშვას მშვიდობის რეალური საფრთხე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებით იქმნება ამ რაიონში.

ამასთან დაკავშირებით ვ. ა. ზორინმა გაიხსენა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის 22 აპრილის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისადმი. სახელმწიფოებს შორის წამოჭრილი ყოველი სადავო საკითხი უნდა გადაწყდეს, თქვა საბჭოთა დელეგატმა, არა ძალის გამოყენებით, გზით, არამედ მშვიდობიანი საშუალებებით, თანასწორ უფლებიან საფუძველზე მოლაპარაკების გზით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადაიჭრას სადავო საკითხები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის. ზორინმა ხაზი გაუსვა აგრეთვე იმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს რეორგანიზაციის პრობლემას, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ჯერ კიდევ სესიის პირველ ნაწილზე. სულ უფრო აშკარა ხდება, თქვა მან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კარგმა გადაწყვეტილებებმაც კი, რომლებიც მიმართულია კოლონიზატორებისა და იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, შეიძლება, ვერ მიაღწიონ მიზანს, სანამ მათი განხორციელება მინდობილი აქვს ჰამარშელდს, რომელიც ქვეყნების ერთი გარკვეული ჯგუფის ინტერესების წარმომადგენელია.

ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ სესიის განახლების წინ რამდენადმე მოსალოდნელი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა სესიაზე არსებითად შეიცვლებოდა. ახალი მთავრობის წარმომადგენლები, თქვა საბჭოთა დელეგატმა, როგორც ცნობილია, იძლეოდნენ დაპირებას, რომ გადასინჯავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წინანდელ პოლიტიკას მთელი რიგი საერთაშორისო საკითხების შესახებ. სამწუხაროდ, როგორც სესიის მუშაობამ ცხადყო, ეს დაპირება საქმით არ დადასტურებულა. მეტწილ დიდმნიშვნელოვან საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას ახალი პოზიცია არ დაუკავებია, ხშირად წინანდებურადვე იკავდა ცივი ომის პოზიციებს, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებში, როგორც წესი, მხარს უჭერდა კოლონიურ სახელმწიფოებს, თუმცა ერთგვარ მანევრირებასაც მიმართავდა.

ვ. ა. ზორინმა დადებით ფაქტორად აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის მე-15 სესიის მეორე ნაწილზე არ განხილულა ყბადაღებული უნგრეთისა და ტიბეტის საკითხები. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეტმა წილმა წევრებმა ხელი შეუშალეს იმის ცდებს, რომ სესიისათვის თავს მოეხვიათ კორეის საკითხის განხილვა, ისე რომ მონაწილეობა არ მიეღოთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

საგულისხმოა, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, რომ თავისი მუშაობის დამთავრების ცოტა ხნის წინათ სესიამ შეწყვიტა მიმდინარე საკითხების განხილვა, რათა ჭეროვნად დაეფასებინა უდიდესი მეცნიერული გმირობა — საბჭოთა მოქალაქე იური გაგარინის კოსმოსში გაფრენა. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ყველა ამერიკელს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას მოულოცეს და შემდგომი წარმატებანი უსურვეს იური გაგარინს და მთელ საბჭოთა ხალხს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-16 სესია სხვა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებთან ერთად განიხილავს საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების საკითხს, რომელიც გადადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნით. საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, თქვა დასასრულ ვ. ა. ზორინმა, რომ, რაც უფრო რეალისტურად მიუდგება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განსახილველ საკითხებს, რაც უფრო მეტად გაითვალისწინებს იმ ახალს, რაც მსოფლიოში ხდება, მით უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს მთელი მისი საქმიანობა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა შემდეგ პასუხი გასცა კორესპონდენტების ბევრ კითხვაზე.

## მუხანათური განზრახვა

**ვაშინგტონი,** 27 აპრილი. (საქდესი). გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო დეპარტამენტში კორესპონდენტებმა სთხოვეს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს უაიტს კომენტარი გაეკეთებინა ამერიკის პრესის ცნობებისათვის, რომ კენედის მთავრობას განზრახული აქვს გამოაცხადოს კუბასთან ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სრული ემბარგო, აგრეთვე ემზადება დააწესოს კუბის სამხედრო ბლოკადა.

თავის პასუხში უაიტმა განაცხადა, რომ კუბასთან შეერთებული შტატების ვაჭრობის სრული შეწყვეტის საკითხს მართლაც იხილავს ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რაც შეეხება ამერიკის მიერ კუბის ბლოკადას, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, განაცხადა უაიტმა.

## ამერიკა ეძებს მხარდაჭერას

**ჰავანა,** 27 აპრილი. (საქდესი). პრენსა ლატინას სააგენტო სანტ-იაგოდან იუწყება:

გუშინ საღამოს ცნობილი გახდა, რომ ჩილის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისაგან მიიღო ნოტა, რომელშიც სრულიად ამერიკის სისტემაში შემავალ ყველა ქვეყანას წინადადება ეძლევა მხარი დაუჭირონ ახალ შეჭრას კუბაში.

არსებული ცნობებით, ამ ნოტაში კონკრეტულად ლაპარაკია კუბაში ახალ შეჭრაზე მთელი კონტინენტის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით. სახელმწიფო დეპარტამენტს სურს, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა ამერიკის შეერთებული შტატები აღჭურვონ უფლებით განახორციელოს აშკარა ჩარევა. როგორც ფიქრობენ, ნოტის უკანასკნელი ნაწილი შეიცავს განცხადებას, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი აშკარად იმედს ამყარებს ამ შემთხვევაში, იმაზე რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები მხარს დაუჭერენ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

# სიერა-ლეონეში — თავისუფლების დროშა

## ფრანგი ხალხის ბრძოლა გრძელდება

## კუბას კვლავ ემუქრება აგრესიის საფრთხე

## საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები ცნობები მიმოხილვები

### მდგომარეობა ალჟირში

**პარიზი,** 27 აპრილი. (საქდესი). ალჟირში სამოქალაქო და სამხედრო პირებს შორის, რომლებიც ასრულებდნენ პუტჩისტთა ბრძანებებს, ბევრი დააპატიმრეს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. სამუშაოზე დაშვების დროს თვითეულ სახელმწიფო მოსამსახურეს უნდა გაევლო „ლოიალობის მკაცრი შემოწმება".

პოლიციის პრეფექტის ბრძანებით ალჟირში ახალ განკარგულებამდე შემოღებულია კომენდანტის საათი 21 საათიდან ადგილობრივი დროით.

**პარიზი,** 27 აპრილი. (საქდესი). შეიარაღებული ძალების სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ შეიარაღებული ძალების მინისტრი მესმერი მიემგზავრება ალჟირში, რათა ადგილზე მიიღოს საჭირო ღონისძიებანი. კერძოდ, გათვალისწინებულია ზოგიერთი ნაწილის დაშლა და სანქციები სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, რომლებიც ამბოხებას მიემხრნენ.

### საფრანგეთის კომუნისტების განცხადება

**პარიზი,** 26 აპრილი. (საქდესი). დღეს საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება ალჟირში სამხედრო-ფაშისტური პუტჩის ჩაფუშვის შესახებ. განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ეს დიადი გამარჯვება მოპოვებულია უწინარეს ყოვლისა ფრანგი ხალხის მეოხებით.

განცხადების ავტორები აკრიტიკებენ საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკას, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მას არაფერი გაუკეთებია ამბოხების თავიდან ასაცილებლად, ხოლო მისი დაწყების შემდეგ არ მიუღია „არც ერთი ეფექტიანი ღონისძიება" ამბოხების ჩასაქრობად.

აღნიშნავს რა, რომ ფრანგი ხალხი მოითხოვს, რათა ბოლო მოეღოს წაყრუებას „ულტრების" მიმართ და მათ „სასკანდალო დაუსჯელობას", კომპარტია აცხადებს, რომ საჭიროა მკაცრად დაისაჯონ მეამბოხენი და მათი თანამზრახველნი, აგრეთვე დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნეს მშვიდობა ალჟირში.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ყოველივე ამის განხორციელებისათვის მთავრობას არ სჭირდება არც კონსტიტუციის მე-16 მუხლის გამოყენება, არც კანონი საგანგებო წესების შესახებ. საფრანგეთის მშრომელნი და დემოკრატები მოითხოვენ კრებებისა და დემონსტრაციების სრული თავისუფლების აღდგენას. რათა მიაღწიონ ამ გადაუდებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, „ხალხი უნდა დარჩეს მჭიდროდ დარაზმული და განაგრძოს ბრძოლა".

„ჩვენი ხალხი, — აცხადებს საფრანგეთის კომპარტია, — თვალყურს ადევნებს იმას, რომ ხალხს არ წაართვან გამარჯვება. იგი განაგრძობს ბრძოლას დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისათვის.

იგი გააძლიერებს მოქმედებას, რათა მიაღწიოს თავის კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას", კიდევ უფრო მეტი სიმტკიცითა და ენერგიით იბრძოლებს იგი იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი ალჟირში ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან გადაუდებელი მოლაპარაკების გზით ალჟირელი ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, „მტკიცედ იდგა პირველ რიგში ამ ბრძოლის დროს. ამრიგად, კვლავ სრული სიცხადით გამოვლინდა პარტიის ეროვნული როლი. მისი გაძლიერება ხელს შეუწყობს ახალ წარმატებებს.

გაუმარჯოს ხალხის გამარჯვებას ფაშიზმზე! გაუმარჯოს მოქმედების ერთიანობას მშრომელთა ინტერესებისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლაში, ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან მოლაპარაკების გზით ალჟირში მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში".

### დებრეს გამოსვლა

**პარიზი,** 27 აპრილი. (საქდესი). საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დებრემ გუშინ საღამოს რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირის ამბოხებასთან დაკავშირებით საფრანგეთმა მძიმე განსაცდელი გამოიარა, თუ ეს განსაცდელი ხანმოკლე იყო, თქვა მან, ეს არ ცვლის მის განსაკუთრებით სერიოზულ ხასიათს სწორედ ისევე, როგორც წესრიგის სწრაფად აღდგენამ არ უნდა დაავიწყოს ფრანგებს ახალ „აფეთქებათა" შესაძლებლობა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ გუშინ დილით საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელნი ალჟირში კვლავ შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას და რომ იქ გაემგზავრნენ შეიარაღებული ძალების მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

თავის გამოსვლაში დებრე ყოველნაირად უსვამდა ხაზს პრეზიდენტისა და მთავრობის როლს ამბოხების ლიკვიდაციაში.

დებრემ აღნიშნა, რომ ალჟირის ევროპელი მოსახლეობის უმრავლესობამ არ დაუჭირა მხარი მეამბოხეებს, საკმაოდ ბუნდოვანი გამოთქმებით დებრემ განაცხადა, რომ მთავრობა იქნება „უფრო მკაცრი", რადგან „არავინ არ უნდა დაივიწყოს გადატანილი ავანტიურა".



ამას წინათ ციურიხის მცხოვრებნი ისეთი ამბის მოწმენი გახდნენ, რომელიც შვეიცარიისათვის არაჩვეულებრივია. ქალაქში მწყობრი ნაბიჯით გაიარეს შვეიცარიელმა ფოსტალიონებმა. პროფკავშირების მოწოდებით მათ გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია მცირე ხელფასისა და შრომის ცუდი პირობების წინააღმდეგ.

ფოტო ფატერლაუსისა (ცენტრალბილდი)

### სენტოს საბჭოს სესია ანკარაში

**ანკარა,** 27 აპრილი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა სენტოს მუდმივი საბჭოს მორიგი სესია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. სესიაზე ინგლისის წარმომადგენელია საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰიუმი. სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი. შეერთებული შტატები ფორმალურად არ არიან ამ აგრესიული კავშირის წევრი, მაგრამ შედიან მის ყველა ძირითად კომიტეტში.

როგორც ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, სენტოს მუდმივი საბჭოს ამ სესიაზე განიხილავენ ბლოკის მონაწილე ქვეყნების გაერთიანებული სამხედრო სარდლობის შექმნის საკითხს.

სესია გახსნა თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ფაჰრი ოზდილეკმა, რომელმაც წაუკითხა სესიის მონაწილეებს თურქეთის სახელმწიფოს მეთაურის გენერალ გიურსელის მისასალმებელი წერილი.

გუშინ დამთავრდა სენტოს სამხედრო კომიტეტის სხდომები, რომლებიც ორ დღეს მიმდინარეობდა დახურულ დარბაზში. კომიტეტმა განიხილა სენტოს სამხედრო გეგმები, აგრეთვე სენტოს მომავალი სამხედრო ორგანიზაციის საკითხები. კომიტეტმა მოამზადა მოხსენება პაქტის მუდმივი საბჭოს სესიისათვის წარსადგენად.

### ტელეგრაფი გვატყობინებს

#### ამერიკა-ინდონეზიის მოლაპარაკება

**ვაშინგტონი,** 26 აპრილი. (საქდესი). გუშინ აქ დამთავრდა მოლაპარაკება ინდონეზიის პრეზიდენტ სუკარნოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედის შორის.

როგორც იუწყებიან, სხვა საკითხებთან ერთად სუკარნომ და კენედიმ განიხილეს აგრეთვე დასავლეთ ირიანის პრობლემა. მაგრამ კომუნიკეში ამ განხილვის შედეგებზე არაფერია ნათქვამი.

#### კარიბის ზღვაში მიდის ავიამზიდი

**ნიუ-იორკი,** 27 აპრილი. (საქდესი). პრესის ცნობით, ხმელთაშუა ზღვიდან ფლორიდის სანაპიროსაკენ სასწრაფოდ იგზავნება ამერიკის ავიამზიდი „შანგრილა". გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" აცხადებს, რომ ეს ღონისძიება მიღებულია კარიბის ზღვაში შესაძლო „ახალ გართულებათა" შემთხვევისათვის.

#### იერიშები თეთრ სახლზე

**ნიუ-იორკი,** 26 აპრილი. (საქდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამენდ სანი" იუწყება: იმასთან დაკავშირებით, რომ ჩაიშალა ამერიკის მმართველი წრეების ზრახვები ლაოსსა და კუბაში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის წარმატებებთან დაკავშირებით კოსმოსური სივრცის ათვისების დარგში, თეთრ სახლს მოსდის „არაჩვეულებრივად ბევრი" „შეურაცხმყოფელი" წერილი ამერიკელი მოქალაქეებისაგან.

ამ უკანასკნელ ხანს ასეთი წერილების რიცხვი 40 პროცენტით გაიზარდა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თეთრი სახლის საიდუმლო სამსახური გაძლიერებით სწავლობს ამ წერილებს, რათა „სდევნოს" მათი ავტორები.

## დაქირავებულ ჯალათებს — ხალხის რისხვა

**ჰავანა,** 26 აპრილი. საქდესის კორესპონდენტი **ნ. ჩიგირი** იუწყება: ჰავანის მშრომელთა სასახლის უზარმაზარ დარბაზში გრძელდება დატყვევებულ კონტრრევოლუციონერთა — კუბის წინააღმდეგ ჩაფუშული ინტერვენციის მონაწილეთა საზოგადოებრივი გამოკითხვა. სცენაზე გამოდიან ისინი, ვინც მოვიდა კუბაში, რათა ეთესა სიკვდილი და ნგრევა, აღედგინა იმპერიალისტური მონოპოლიებისა და მემამულე-ლატიფუნდისტების ბატონობა.

სცენაზე გამოდის კიდევ ერთი „დემოკრატიის დამცველი". დარბაზში იგრძნობა შეშფოთება. ეს არის რამონ კალვინო. მისი ხელები მოსვრილია ბევრი კუბელი პატრიოტის სისხლით, რომლებიც აწამეს ბატისტას დიქტატორული რეჟიმის პოლიციის ჯურღმულებში. კალვინო ყოფილი რეციდივისტია, რომელიც ერთ დროს საპატიმროში იჯდა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდეგ ბატისტას პოლიციის აგენტი გახდა. შეიპარა რა „ოცდაექვსი ივლისის მოძრაობის" რიგებში, მან არაერთი კუბელი პატრიოტი გასცა და ხელში ჩაუგდო ჯალათებს, ხოლო როცა მისი გამცემლობა გამომჟღავნდა, აშკარად გადავიდა პოლიციის სამსახურში და „მუშაობდა" პოლიციის მეხუთე სამმართველოს საგამომძიებლო განყოფილებაში. სწორედ ამ სამმართველოს გაუვარდა წამებისა და მკვლელობის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ადგილის სახელი.

— გახსოვთ თუ არა 1958 წლის 9 აპრილი, როცა მოკლეს მარსელო სოლადო, გახსოვთ თუ არა 1958 წლის 2 ივლისი, როცა მოკლეს ხულიო ალვარეს ედუარტე, გახსოვთ თუ არა ხორხე სანჩეს ვილიარი, რომელიც თქვენ და თქვენმა თანამზრახველებმა მოკალით სანტაფეს პლაჟზე? — ეკითხება გაზეთ „რევოლუსიონის" დირექტორი კარლოს ფრანკი. რამონ კალვინოს „არ ახსოვს".

მას უსახელებენ სულ ახალ და ახალ მსხვერპლს, დანაშაულის თარიღებსა და ადგილებს. მაგრამ „გულმავიწყობას" იჩენს, ხოლო თუ „გაიხსენებს" ამა თუ იმ ნაწამებ კუბელ პატრიოტს, ამბობს, რომ თვითონ არაფერ შუაშია, რომ ბოროტმოქმედებას სხვები სჩადიოდნენ.

მაგრამ აი სცენაზე გამოდის სახალხო მილიციის მებრძოლის ფორმიანი ქალი. მარია ელენას კარგად ახსოვს, როგორ აწამა იგი კალვინომ, როგორ შეურაცხყო თავის თანამზრახველებთან ერთად. ორი დაზიანებული ხერხემლის მალი, ავადმყოფი გული — აი რამონ კალვინოს მიერ წამების კვალი.

— მე, როგორც რევოლუციონერი, — დაასკვნის თავის ბრალდებას მარია ელენა, — გთხოვთ ჩამრიცხოთ იმ ოცეულში, რომელიც მას დახვრეტავს.

— მე კი არ გახსოვარ? აბა მე? —ზედიზედ ეკითხებიან კალვინოს მისი საშინელი წამებისაგან სასწაულით გადარჩენილნი. შენ ჩემს თვალწინ მომიკალი საქმრო, — ქვითინით ამბობს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ასახელებს საათსა და ადგილს, სადაც კალვინომ ჩაიდინა თავისი მორიგი დანაშაული.

მკვლელი სდუმს, ზოგჯერ იგი სისინებს:

— მარტო მე როდი ვიყავი, სხვებიც იყვნენ...

იგი გაჰყავთ. გრეგორიო ორტეგა — ცნობილი კუბელი ჟურნალისტი, რომელიც მონაწილეობას იღებს ტყვეთა გამოკითხვაში, დაასკვნის: ეს ეს არის ვნახეთ იმპერიალიზმის ტიპიური აგენტი, რომელიც აქ შემოგზავნეს, რათა განეგრძო იგივე დანაშაულობანი, რასაც წინათ სჩადიოდა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამერიკის იმპერიალიზმი მას დანიშნავდა პოლიციის ახალ უფროსად. ამისთვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა კენედის. ახლა ხალხს ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი, თუ რას წარმოადგენენ დაქირავებულნი, რომლებიც პლაიია-ხირონში გადმოსხეს.

26 აპრილს იმპერიალისტების დაქირავებულთა რიცხვმა, რომლებიც კუბის რევოლუციურმა ძალებმა ტყვედ ჩაიგდეს საპატის ნახევარკუნძულზე, თითქმის ათასს მიაღწია.

## ცნობა




# სიერა-ლეონე

ასე ეწოდება აფრიკის ახალ რესპუბლიკას, რომელსაც გუშინ მიენიჭა დამოუკიდებლობა. იგი სათვალავით ოცდამერვე დამოუკიდებელი ქვეყანაა აფრიკაში.

სიერა-ლეონე დასავლეთ აფრიკის პატარა ქვეყანაა. მისი ტერიტორია შეადგენს 72,3 ათას კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა — 2,4 მილიონ კაცს.

საუკუნენახევრის წინათ ინგლისელმა კოლონიზატორებმა ხელთ იგდეს ეს ქვეყანა. აფრიკის სხვა კოლონიებთან ერთად მძიმე იყო მისი ხვედრი. აუტანელ ექსპლოატაციას თან სდევდა შიმშილი, სიღატაკე. ამ ქვეყნის მოსახლეობა „კეთილი" ევროპელების წყალობით უკანასკნელ ათეულ წლებში უფრო ცუდად იკვებებოდა, ვიდრე 300 წლის წინათ.

სიერა-ლეონე მდიდარია წიაღისეულით. არის რკინისა და ქრომის დიდი მარაგი, აღმოჩენილია ალმასებიც. ნოყიერი ნიადაგი, საკმაო ტენი, მცხუნვარე მზე სოფლის მეურნეობის განვითარების საშუალებას იძლევა. მაგრამ მიუხედავად ამისა სიერა-ლეონე ერთ-ერთი ყველაზე ღატაკი ქვეყანაა აფრიკაში, ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 25 გირვანქა სტერლინგს არ აღემატება, ესე იგი 14-15-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ინგლისში, სამჯერ ნაკლები, ვიდრე დამოუკიდებელ განის რესპუბლიკაში.

ცხოვრების ასეთი დაბალი დონე იმით აიხსნება, რომ ინგლისელი კოლონიზატორები სიერა-ლეონეს მთელ წიაღს თვითონ ამუშავებდნენ და თვითონვე ითვისებდნენ. ისინი ყოველ ღონისძიებით ხელს უშლიდნენ სიერა-ლეონეში საკუთარი მრეწველობის შექმნას, რის შედეგად თითქმის მთელი მზა ნაწარმი, დაწყებული ასანთიდან ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ჩათვლით, ევროპის ქვეყნებიდან შეჰქონდათ.

უმეცრება, სიბნელე დაუტოვეს მემკვიდრეობად ინგლისელმა კოლონიზატორებმა სიერა-ლეონეს ხალხს. სასკოლო ასაკის 700 ათასი ბავშვიდან სკოლაში დადის მხოლოდ 75 ათასამდე. მთელი მოზრდილი მოსახლეობის 90-95 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. ჯანმრთელობის დაცვაზე ლაპარაკი ზედმეტია. 33 ათას კაცზე მოდის ერთი ექიმი, 1.550 კაცზე — საავადმყოფოს ერთი საწოლი.

კოლონიზატორების მიერ ჩაგვრას სიერა-ლეონეს მკვიდრნი მორჩილებით როდი იტანდნენ. ისინი არაერთხელ გამოსულან უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. ანტიფეოდალურ, ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა სიერა-ლეონეს პროლეტარიატი. აფრიკაში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებამ, განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევებამ აიძულა კოლონიზატორები დათმობაზე წასულიყვნენ და სიერა-ლეონესათვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე დათანხმებულიყვნენ.

მეორე დღეა სიერა-ლეონეს დედაქალაქ ფრიტაუნში ეროვნული დროშა ფრიალებს. ზეიმობს სიერა-ლეონეს ხალხი, რომელიც პირველად ეზიარა თავისუფლებას.

საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან აფრიკაში ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხალხს და უსურვებენ წარმატებას პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ეკონომიური აღმავლობისათვის ბრძოლაში.

## შეწყდეს ცეცხლი ლაოსში

### ნეო ლაო ხაკ სატის მებრძოლი ძალების მთავარი სარდლობის განცხადება

**ჰანოი,** 26 აპრილი. (საქდესი). დღეს „პატეტ-ლაოს რადიომ" გადმოსცა ნეო ლაო ხაკ სატის მებრძოლი ძალების მთავარი სარდლობის განცხადება, რომელსაც ხელს აწერს კხამტა სიფანდონი.

ნეო ლაო ხაკ სატის მებრძოლი ძალების მთავარი სარდლობის სახელით, ნათქვამია განცხადებაში, მხურვალედ მივესალმები ჟენევის თათბირის თანათავმჯდომარეთა მიმართვას იმის შესახებ, რომ შეწყდეს ცეცხლი და მოწვეულ იქნეს გაფართოებული თათბირი ჟენევაში.

ლაოსის სამეფოს კანონიერი მთავრობის ბრძანების შესასრულებლად, მთავრობისა, რომელსაც პრინცი სუვანა ფუმა მეთაურობს, ნეო ლაო ხაკ სატის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესასრულებლად, პარტიისა, რომელსაც პრინცი სუფანუვონგი მეთაურობს, და ლაოსის მთავრობის ჯარების მთავარი სარდლობის წინადადების მხარდასაჭერად ვაცხადებ: ნეო ლაო ხაკ სატის მებრძოლი ძალები მზად არიან გაგზავნონ თავიანთი სრულუფლებიანი დელეგაცია ლაოსის დაინტერესებული მხარეების თათბირში მონაწილეობისათვის, რათა განიხილონ საკითხი ცეცხლის შეწყვეტისა და დაზავების შესახებ, როგორც ეს ლაოსის სამეფოს კანონიერი მთავრობის შეიარაღებული ძალების მთავარმა სარდლობამ განაცხადა.

## საგაზაფხულო კულტურების თესვის მიმდინარეობა

### საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1961 წლის 25 აპრილისათვის (ჰექტარობით)

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | სულ საგაზაფხულო კულტურები 1961 წ. | სულ საგაზაფხულო კულტურები 1960 წ. | აქედან სიმინდი 1961 წ. | აქედან სიმინდი 1960 წ. |
|---|---|---|---|---|
| ახალქალაქის | 11123 | 4857 | — | — |
| ბოგდანოვკის | 6794 | 1030 | — | — |
| ახალციხის | 3605 | 3009 | 1272 | 590 |
| ადიგენის | 1248 | 1808 | 552 | 387 |
| ასპინძის | 1247 | 997 | 50 | 9 |
| ხაშურის | 4330 | 4397 | 2855 | 2465 |
| ქარელის | 9031 | 6242 | 4981 | 1593 |
| გორის | 10797 | 7033 | 7533 | 3601 |
| კასპის | 7674 | 4212 | 4168 | 1559 |
| ბორჯომის | 704 | 410 | 304 | 105 |
| საგარეჯოს | 16930 | 5179 | 8105 | 501 |
| გურჯაანის | 5799 | 1725 | 4128 | 624 |
| სიღნაღის | 15786 | 4761 | 8794 | 882 |
| წითელწყაროს | 21685 | 8234 | 10191 | 1863 |
| თელავის | 4215 | 1888 | 3528 | 1139 |
| ახმეტის | 4859 | 2216 | 4572 | 1922 |
| ყვარლის | 5173 | 2968 | 4113 | 1979 |
| ლაგოდეხის | 4996 | 763 | 3326 | 235 |
| სამგორის | 11020 | 4240 | 6848 | 1119 |
| მცხეთის | 2928 | 1958 | 2192 | 1305 |
| მარნეულის | 9059 | 2780 | 7668 | 1592 |
| ბოლნისის | 5330 | 1757 | 3886 | 1215 |
| წალკის | 6889 | 1520 | 16 | — |
| დუშეთის | 2648 | 266 | 2160 | 132 |
| თეთრი წყაროს | 5937 | 2066 | 3208 | 298 |
| დმანისის | 3455 | 435 | 771 | 64 |
| თიანეთის | 1913 | 228 | 425 | — |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის | 9144 | 4543 | 5116 | 1057 |
| წყალტუბოს | 4563 | 4922 | 3120 | 3137 |
| სამტრედიის | 2336 | 2011 | 1690 | 1389 |
| წულუკიძის | 1894 | 1672 | 1782 | 1402 |
| ვანის | 2520 | 1891 | 2270 | 1685 |
| მაიაკოვსკის | 1446 | 1867 | 1385 | 1756 |
| ზესტაფონის | 1778 | 2044 | 1752 | 2044 |
| თერჯოლის | 2956 | 3138 | 2631 | 2768 |
| ქ. ჭიათურის | 2492 | 2107 | 2464 | 2035 |
| საჩხერის | 3026 | 1774 | 2725 | 1533 |
| ორჯონიკიძის | 1733 | 1682 | 1733 | 1657 |
| ტყიბულის | 1764 | 1555 | 1748 | 1540 |
| ონის | 908 | 687 | 770 | 556 |
| ამბროლაურის | 1537 | 997 | 1400 | 911 |
| ცაგერის | 1161 | 817 | 1161 | 813 |
| ლენტეხის | 583 | 695 | 391 | 410 |
| აბაშის | 1385 | 1182 | 1216 | 1035 |
| ცხაკაიას | 1736 | 949 | 1626 | 783 |
| გეგეჭკორის | 1783 | 2236 | 1780 | 2228 |
| ზუგდიდის | 1048 | 991 | 1001 | 891 |
| ხობის | 1450 | 1695 | 1447 | 1624 |
| წალენჯიხის | 1103 | 1388 | 1068 | 1171 |
| ჩხოროწყუს | 1556 | 1487 | 1556 | 1487 |
| მახარაძის | 1353 | 1154 | 1256 | 912 |
| ლანჩხუთის | 1625 | 527 | 1602 | 525 |
| ჩოხატაურის | 705 | 965 | 627 | 861 |
| მესტიის | 165 | 293 | 20 | 89 |
| ქ. ფოთის | 479 | 350 | 352 | 317 |
| აფხაზეთის ასსრ | 2886 | 2189 | 1875 | 996 |
| აჭარის ასსრ | 1062 | 1037 | 976 | 842 |
| სულ საქართველოს სსრ | 243297 | 125269 | 144186 | 63533 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზღვისპირელი კომბინატორები

1.

[illegible]

უკვე მეორე წელია არსად არ მუშაობს. გაქნილი საქმოსანი ამ ორიოდე წლის წინათ კრასნოდარიდან გაგრას ეწვია და კურორტ-ქალაქში გადაწყვიტა ცხოვრება.

„სახლი უნდა ავაგო, ისეთი სახლი, რომ უკეთესი გაგრაში არ იყოს", განიზრახა ამოტმა, და აბა რა კაცია, სიტყვას თუ გატეხდა.

გაგრაში ჩასვლისთანავე ა. ვართანოვმა გაიცნო მოქალაქე ალექსანდრა ლოგნიკოვა, რომელსაც გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოუყო სამოსახლო მიწის ნაკვეთი. აქედან დაიწყო საქმის გაჩარხვა.

ლოგნიკოვა და ვართანოვი ჯერ ერთმანეთთან მორიგდნენ, შემდეგ ქალაქის საბჭოს აღმასკომს მიაშურეს. იქ ლოგნიკოვამ ასეთი შინაარსის განცხადება წარადგინა: ჩემთვის ძნელია დამოუკიდებლად სახლის აშენება, გთხოვთ ნება დამრთოთ მოზიარედ შევიყვანო ჩემი ნათესავი ვართანოვი.

ამრიგად, ვართანოვი „ნათესავად" მონათლა ლოგნიკოვამ. ვართანოვიც „მოკრძალებით" წერდა, სახლი არსად არ გამაჩნია, დამეხმარეთ, რომ იგი ნათესავთან ერთად ავაშენოო.

ქალაქის საბჭოს აღმასკომში „კეთილი ძიები" აღმოჩნდნენ (საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ავიძბა, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგე ბ. კუცია), ლოგნიკოვას და ვართანოვს ნება დართეს ერთად აეგოთ სახლი.

გავიდა ცოტა დრო, ლოგნიკოვა და ვართანოვი ახალ განცხადებაში წერდნენ,

[illegible]

და იგი თანახმა იყო მშენებლობა მარტო ვართანოვისათვის დაეკისრებინა.

ეს „ვარიანტიც" უმალვე დაკანონდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1960 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით.

ამ დღიდან ვართანოვმა მშენებლობა უფრო ინტენსიური ტემპით დაიწყო. ყოველდღე დატვირთული მანქანები მიჰქროდნენ ვართანოვის ეზოსაკენ. ზოგს ცემენტი მიჰქონდა, ზოგს ფიცარი, აგური და სხვა საშენი მასალა. გაგრის სადგურზე ვაგონებიც ჩამოდგა. ა. ვართანოვს ეს მასალები ზოგი კრასნოდარიდან მოჰქონდა, ზოგი სოჭიდან, ადლერიდან და სხვა ქალაქებიდან. მშენებლობაზე მუშაობდა ყველა სახის ახალი ტექნიკა: ბულდოზერები, ამწევები, თვითსაცლელები და ცემენტის მექანიკური შემზავებლები. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთის ნომერს ვთავაზობთ მკითხველს: ავტომწე „პპ-92-78", ავტომანქანები „პპ-64-70", „პპ-36-77", „გნ-16-53", „გრა-41-98", „პპ-36-62", „სო-56-39", „ცია-65-61", „ციუ-40-42", „ციუ-48-41" და სხვები. ყველა გაგრისა და სოჭის სხვადასხვა ორგანიზაციის მანქანებია.

საინტერესოა, რა გზით შოულობდა ამ მანქანებს ვართანოვი, ან სად იყვნენ იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებსაც ეს ტექნიკა ეკუთვნის?

ამჟამად ორსართულიანი აგურის სახლი თავისი სარდაფით უკვე გადახურულია მოთუთიებული რკინით. კეთილმოწყობაც ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. საქალაქო საბჭოს ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მონაცემებით სახლის სასარგებლო ფართობი 113 კვადრატულ მეტრს უდრის, ხოლო სამოსახლო მიწის ნაკვეთი 560 კვადრატული მეტრია. ეზოს ერთ მხარეზე ვართანოვს გაუშენებია რკინაბეტონის საყრდენი კედელი, რისთვისაც დახარჯული მასალით მეორე სახლი თავისუფლად აშენდებოდა.

ა. ვართანოვმა სახლის მშენებლობის გარდა ამას წინათ ახალი „ვოლგაც" შეიძინა, მაგრამ, როგორც თვითონ განაცხადა, ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთ ამხანაგს „დაუთმო". რა კეთილი კაცი ყოფილა!

რა სახსრებით აშენებს სახლს, იძენს მსუბუქ ავტომანქანებს და საერთოდ რით ცხოვრობს?!

ვართანოვმა გაგრაში ასეთი უზარმაზარი სახლი რომ წამოჭიმა, მკითხველმა შეიძლება იფიქროს, ის ალბათ მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონიაო. არა, მას, ჰყოლია ცოლი და ერთი ვაჟი, რომლებიც 1942 წელს მიუტოვებია და შემდეგ მარტოდმარტო ცხოვრობს...

2.

**სერგო ნიკოლოზის-ძე სანაია** გაგრაში 1949 წელს ქ. ცხაკაიადან ჩამოვიდა და კურორტვაჭრობის სისტემაში მოეწყო სამუშაოდ. ცოტა ხნის შემდეგ გაგრის ე. წ. „მოსამსახურეთა სახლში" კომუნალური ოროთახიანი ბინაც მიიღო. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, და სანაიასაც სწორედ ასე დაემართა. იფიქრა, კურორტზე კი ვცხოვრობ და ვმუშაობ, მაგრამ საკუთარი სახლი რატომ არ უნდა მქონდესო? და, როგორც თვითონ განაცხადა, 1955 წელს იყიდა პატარა სახლი მიწის ნაკვეთით. მაგრამ ამ სახლში „ველარ დაეტია", გადაწყვიტა კაპიტალური სახლის მშენებლობა. ეს წადილიც მალე აისრულა. საბჭოს ქ. № 32-ში წამოჭიმა ორსართულიანი ექვსოთახიანი კაპიტალური სახლი, რომლის სასარგებლო ფართობი 105 კვადრატულ მეტრს უდრის. შიგნითაც კარგად მოაწყო. სანაია ფეხით სიარულს არ კადრულობს. ჯერ „პობედა" შეიძინა, მაგრამ აღარ მოეწონა. შემდეგ „ვოლგაზე" „გადაბრძანდა", რომელსაც ჯერ ისევ მოსკოვური ნომერი „22-57-მოდ" შერჩა, რადგან გადაფორმება ვერ მოასწრო.

[illegible]

— ჩვენ ცოლ-ქმარი, ორივენი ვმუშაობთ. მე თვეში 78 მანეთს ვიღებ, ხოლო ცოლი ლილი თოფურია № 10 პავილიონში გამყიდველად მუშაობს და თვეში 38 მანეთს იღებს, — გვიხსნის ს. სანაია და დასძენს, — როცა კომუნალურ ბინაში ვცხოვრობდით, კურორტზე დასასვენებლად ჩამოსულებს ოთახს ვაქირავებდით და ამ სახსრებით სახლი ავაშენეთ...

3.

**ექიმი ვლადიმერ გიორგის-ძე ქავთარაძე** და სამედიცინო და **ფაინა გრიგოლის ასული ფედორინოვა** გაგრაში 1954 წელს ჩამოვიდნენ. ადრე ქავთარაძე ქ. ოჩამჩირეში მუშაობდა. იქ რამდენიმე წელიწადში ააშენა სახლი, რომელიც გაგრაში გადმოსვლის შემდეგ გაყიდა. ფედორინოვა კი ქ. რუსთავიდან ჩამოვიდა. აქ გაგრის ინფექციურ დაავადებათა საავადმყოფოში ერთად მოხვდნენ სამუშაოზე. პირველი — მთავარ ექიმად, მეორე — სამედიცინო დის თანამდებობაზე. გაიცნეს ერთმანეთი და... თუმცა ქორწინების იურიდიული დოკუმენტი არ გაუფორმებიათ, ერთად ცხოვრებას შეუდგნენ.

ვ. ქავთარაძეს გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოუყო 400 კვადრატული მეტრი სამოსახლო მიწის ნაკვეთი სტალინის ქ. № 134-ში. აქ ქავთარაძემ ორსართულიანი კაპიტალური სახლი წამოჭიმა. ამ სახლში, რომლის სასარგებლო ფართობი 136 კვადრატული მეტრია, მარტოდმარტო ცოლ-ქმარი ცხოვრობს.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება ქავთარაძისა და ფედორინოვას ხელგაშლილობა. ფედორინოვა ამჟამად მუშაობს გაგრის საქალაქო აფთიაქში. ფედორინოვამ და ქავთარაძემ თავიანთი სახლის მახლობლად ქალაქისა და სოფლის საზღვართან სოფელ კოლხიდის ტერიტორიაზე კოლმეურნე ოლღა ლოლუასაგან იყიდეს პატარა სახლის ნახევარი 0.04 ჰექტარი მიწის ნაკვეთით. ამ ნაკვეთზე დაიწყეს ახალი სახლის მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ მათ კატეგორიულად აუკრძალა მშენებლობა, მაინც მოახერხეს ორსართულიანი აგურის კაპიტალური სახლის აშენება და გადახურვა.

რისთვის უნდათ ეს მეორე სახლი ვ. ქავთარაძესა და ფ. ფედორინოვას?

აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობა „კოლხიდის" წევრმა ოლღა ლოლუამ სამოსახლო მიწის ნაკვეთების გაყიდვაში რეკორდი დაამყარა. გარდა ვ. ქავთარაძისა და ფ. ფედორინოვასი, სამოსახლო მიწის ნაკვეთი მიჰყიდა გაგრის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების ინსპექტორს ა. მუკბას. უკანასკნელს ქ. გაგრაში სტალინის ქ. № 147-ში ჰქონდა საკუთარი სახლი, რომელიც გაყიდა და ლოლუასაგან მიღებულ ნაკვეთზე ორსართულიანი კაპიტალური სახლი ააგო.

ო. ლოლუამ სამოსახლო მიწის ნაკვეთები მიჰყიდა აგრეთვე ა. ტულუმჯიანსა და მ. ფილონოვას.

გაგრაში არიან ისეთი სახლმფლობელები, რომლებსაც თბილისსა და სხვა ქალაქებშიც აქვთ საკუთარი სახლები. ისინი სპეკულაციურ ფასებში აქირავებენ ბინას.

ასეთია, მაგალითად მოქ. ლევან პეტრეს ძე ცქიტიშვილი, რომელსაც გაგრაში პირველი მაისის ქუჩის № 2-ში და თბილისში ჯავახიშვილის ქუჩა № 7-ში აქვს საკუთარი სახლები.

4.

**სერგო მარკოზის-ძე სააკიანი** გაგრაში ქ. თბილისიდან ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ფეხსაცმლის სახელოსნოში. რამდენიმე თვეში ს. სააკიანმა გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკების წინაშე სათანადო „ავტორიტეტი" მოიპოვა, რის შედეგადაც გასული წლის ივლისში საკუთარი სახლის აშენების ხელშეკრულება გაუფორმეს. სააკიანმაც არ დააყოვნა და მოკლე ხანში ნინოშვილის ქ. № 11-ში ააშენა ორსართულიანი კაპიტალური სახლი, რომლის სასარგებლო ფართობი 85 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ამჟამად ს. სააკიანი ქუდების სახელოსნოში მუშაობს და სახლის „კეთილმოწყობის სამუშაოებს" სწრაფად აწარმოებს.

მსგავსი ფაქტები გაგრაში მრავალია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომში უხეშად ირღვევა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის სამოსახლო ნაკვეთების გამოყოფის წესები.

უფრო მეტიც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გასული წლის სპეციალური გადაწყვეტილებით აიკრძალა საკურორტო ზონაში კერძო სახლების მშენებლობა, სამწუხაროდ, გაგრაში ამ გადაწყვეტილებას არღვევენ და კერძო ბინათმშენებლობა კვლავ გაცხოველებით გრძელდება.

საკითხავია, რატომ არ უნდათ ამის დანახვა გაგრის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს და განსაკუთრებით გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რატომ არ სურთ მიიღონ სათანადო ზომები არაკანონიერი საბინაო მშენებლობის აღსაკვეთად და მადაგახსნილ კომბინატორთა ფრთების შესაკვეცად?!

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის" საკ. კორ.



## პილოტის მოსაზრებულობის მეოხებით...

**ივანოვო,** 25 აპრილი. (საკდესი). ვერტმფრინავი, რომელსაც მფრინავი ო. სკოლოვი მართავდა, დაეშვა 12 კილომეტრზე იაროსლავლის საოლქო საავადმყოფოდან. ვერტმფრინავში იმყოფებოდა 20 წლის ვერა პოლიაკოვა, მძიმე ავადმყოფი, გავრილოვ-იამის რაიონის სოფელ ილიინო-ურუსოვოს სამედიცინო მუშაკი.

მფრინავს გაუკვირდა, რომ არ დახვდა სანიტარული ავტომობილი. მოვიდა ცნობა: ქალაქის გზაზე წყალდიდობამ დაანგრია ხიდი. როგორ მოიქცეს? ავადმყოფის მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. მაღალი ტემპერატურა. პულსი თითქმის არ იგრძნობა. დაყოვნება არ შეიძლება. და ვერტმფრინავი კვლავ ჰაერში აფრინდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მფრინავმა დაინახა საავადმყოფოს თეთრი კორპუსები და დაიწყო დაშვება. მაგრამ მოედანზე, სადაც დაჯდომა შეიძლებოდა, სკოლოვმა შეამჩნია ელექტრომავთულთა ქსელი. პილოტი კვლავ ეძებს შესაფერ დასაჯდომ ადგილს. ვერტმფრინავი დაეშვა პატარა მოედანზე საავადმყოფოს გალავნის გვერდით.

საკდესის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა იაროსლავლის საოლქო საავადმყოფოს. მთავარმა ექიმმა ზ. მ. დენისენკომ აცნობა:

„ვერა პოლიაკოვა სიცოცხლეს უნდა უმადლოდეს მხოლოდ მფრინავ ივანე სკოლოვის მოსაზრებულობას. კიდევ სულ ცოტა რომ დაგვიანებოდა სამედიცინო დახმარება, ვეღარაფერი უშველიდა... ახლა ქალიშვილი უკვე სახლშია.

## ფეხბურთი

**გათამაშების ცხრილი**
**პირველი ქვეჯგუფი**
მდგომარეობა 28 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (როსტ.) | 4 | 3 | 0 | 1 | 10:3 | 6 |
| „ტორპედო" (მ.) | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| „დინამო" (თბ.) | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| „ნეფტიანიკი" (ბ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 5 |
| „ლოკომოტივი" (მ.) | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 5 |
| „ავანგარდი" (ხ.) | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 4 |
| „ადმირალტეეცი" (ლ.) | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 3 |
| „დაუგავა" (რ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 2 |
| „შახტიორი" (სტ.) | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| „ტრუდი" (ვ.) | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| „სპარტაკი" (ვილ.). | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

**სსრ კავშირის პირველობაზე**

**მოსკოვი.** 27 აპრილი. დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ (2:2).

**ქუთაისი.** 27 აპრილი. შედგა „ბ" კლასის გუნდების — ქუთაისის „ტორპედოსა" და ყარაგანდის „შახტიორის" მატჩი ფეხბურთში. გაიმარჯვეს ქუთაისელებმა 1:0.

**რუსთავი.** 27 აპრილი. „მეტალურგი" თავის მოედანზე თამაშობდა ჯამბულის „ენბეკის" წინააღმდეგ. შეხვედრა დამთავრდა „მეტალურგის" გამარჯვებით — 3:2.

## მატჩი ამერიკელ კალათბურთელთან

[illegible] შორისო ასპარეზობა კალათბურთში ამერიკისა და საბჭოთა გუნდებს შორის.

უამინდობის გამო ვაჟთა გუნდების შეჯიბრება არ შემდგარა.

ქალთა გუნდების ასპარეზობაში ამერიკელთა წინააღმდეგ გამოვიდა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები. საბჭოთა კალათბურთელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და ანგარიში თავიანთ სასარგებლოდ 3:0, 7:2, 11:6 წაიყვანეს. ამერიკელებმა, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შორიდან ზუსტი ტყორცნებით თანდათანობით შეამცირეს ქულათა განსხვავება და გაათანაბრეს ანგარიში. ეს მოხდა მე-17 წუთზე — ფარზე ციფრები გვაუწყებდნენ ფრეს — 17:17. ასევე იყო მე-19 წუთზე — 19:19.

ტაიმი დამთავრდა 21:21.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თავი იჩინა მასპინძელთა ფიზიკური მომზადების უპირატესობამ. ისინი სჯობნიდნენ მეტოქეს ტემპში. ჩვენმა კალათბურთელებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს ბრძოლა უკანასკნელ წუთებში და მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება ანგარიშით 43:38. ეს ამერიკის ქალთა გუნდის მესამე დამარცხებაა ზედიზედ.

დღეს თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე მოეწყობა ამერიკელ კალათბურთელთა მორიგი გამოსვლა. მათ წინააღმდეგ ითამაშებენ „ბურევესტნიკის" ქალთა და „დინამოს" ვაჟთა გუნდები. დასაწყისი 17 საათზე.

* * *



**სურათზე:** ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ქალთა ნაკრები გუნდების მატჩის ერთ-ერთი მომენტი კალათბურთში.

ფოტო ბ. დადვაძისა.

**ქალთა საერთაშორისო ტურნირი**

[illegible]

[illegible]

## კომუნისტი სპორტი

# დიდი საჭადრაკო სეზონი

თუმცა ტალ-ბოტვინიკის მატჩ-რევანშმა ორი თვით დაჩრდილა ყოველგვარი საჭადრაკო შეჯიბრება, მაგრამ ბევრი მათგანი უაღრესად მიმზიდველი იქნება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების** ნაკრები გუნდების შეხვედრა ნიუ-იორკში მაისის დამლევს.

როგორც ცნობილია, ლაიპციგის საჭადრაკო ოლიმპიადაზე ამერიკელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ. მათ გუნდში ითამაშებენ გროსმაისტერები რობერტ ფიშერი, სამუილ რეშევსკი, უილიამ ლომბარდი, ლარი ევანსი, არტურ ბისჰაიერი, პალ ბენკო, ნიკოლას როსოლიმო, ნიჰიერი ოსტატი, 20 წლის რაიმონდ უაინსტაინი და სხვები.

ზაფხულში გაიმართება ტრადიციული მატჩი მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესად ცნობილ **იუგოსლავიის ნაკრებთან.** ეს შეხვედრა შარშან უნდა შემდგარიყო, მაგრამ მას ხელი შეუშალა ბუენოს-აირესის დიდმა საერთაშორისო ტურნირმა, სადაც ორივე ქვეყნის წამყვანი გროსმაისტერები იღებდნენ მონაწილეობას (კორჩნოი და ტაიმანოვი საბჭოთა კავშირიდან, გლიგორიჩი და ივკოვი იუგოსლავიიდან). იუგოსლავიის გუნდში, როგორც ყოველთვის, პირველ დაფებზე ითამაშებენ სვეტოზარ გლიგორიჩი, ალექსანდარ მატანოვიჩი, ბორისლავ ივკოვი და პეტარ ტრიფუნოვიჩი.

მიმდინარე წლის საჭადრაკო კალენდრის ერთ-ერთი ცენტრალური ღონისძიება იქნება **საზონათაშორისო ტურნირი,** რომელიც შემოდგომაზე გაიმართება. მან უნდა გამოავლინოს მსოფლიო ჩემპიონობის ექვსი პრეტენდენტი. უკვე ცნობილია საზონათაშორისო ტურნირის თითქმის ყველა მონაწილე: პეტროსიანი, კორჩნოი, გელერი, შტეინი (საბჭოთა კავშირი), ფიშერი, ლომბარდი, უაინსტაინი (ამერიკის შეერთებული შტატები), გლიგორიჩი, ბერტოკი (იუგოსლავია), ბარცა, პორტიში, ბილეკი (უნგრეთი), ბოლბოჩანი, შვებერი (არგენტინა), პომარი (ესპანეთი). დანარჩენი მონაწილეები გამოვლინდებიან აზიისა და ევროპის მესამე ზონის ტურნირებიდან. როგორც ცნობილია, ევროპის მესამე ზონალური ტურნირი ჩაიშალა ჰოლანდიელ ხელისუფალთა საბოტაჟის გამო, რომლებმაც ვიზა არ მისცეს გროსმაისტერ ულმანს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ფიდემ ამ შეჯიბრების ჩატარება ჩეხოსლოვაკიის საჭადრაკო ორგანიზაციას დაავალა.

**ჩვენი** რესპუბლიკის ჭადრაკის გულშემატკივართათვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება **მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირი ქალთა შორის,** რომელიც შემოდგომაზე იუგოსლავიაში გაიმართება. აქ ითამაშებენ ოსტატები ვოლპერტი, ზვორიკინა, ბორისენკო, ზატულოვსკაია, საქართველოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და უძლიერესი უცხოელი მოჭადრაკეები. ამ ტურნირში გამარჯვებული 1962 წელს მატჩში მსოფლიო პირველობაზე შეხვდება ელისაბედ ბიკოვას.

30 წლის წინათ იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ბლედში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი, სადაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მაშინდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ალიოხინმა, ამ თარიღთან დაკავშირებით იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციამ გადაწყვიტა სექტემბერში **ბლედში გამართოს ტურნირი,** რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 18 უძლიერესი გროსმაისტერი. ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლები ლაიპციგში მოელაპარაკნენ თანამედროვეობის წამყვან გროსმაისტერებს და მიიღეს პრინციპული თანხმობა.

გაიმართება აგრეთვე საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული ტურნირი მოსკოვში, ბალტიისპირეთის ქვეყნების საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ეწყობა დევიზით: „ბალტიის ზღვა მშვიდობის ზღვაა", აზიის ქვეყნების საერთაშორისო ტურნირი და სხვ.

**ა**რაერთი საინტერესო შეჯიბრება გაიმართება საქართველოშიც. აპრილის მეორე ნახევრიდან თბილისში დაიწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი. 28 მაისს ბუქარესტში შედგება რუმინეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი, რუმინელი მოჭადრაკეები, რომლებიც გასულ წელს დამარცხდნენ თბილისში, შემოდგომაზე მონაწილეობდნენ ლაიპციგის საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სადაც 11-12 ადგილები გაიყვეს. ამჯერად რუმინეთის გუნდში ითამაშებენ ოსტატები ჩოკილტია, დრიმერი, გეორგიუ, რადოვიჩი, მიტიტელუ და სხვ. ქალთა შორის პირველ დაფაზე ითამაშებს ოსტატი პოლიკრონიადე, რომელიც გასულ წელს გამოდიოდა თბილისის საერთაშორისო ტურნირში. უფრო მოგვიანებით მან დიდი წარმატებით ითამაშა მსოფლიო ჩემპიონობის ზონალურ ტურნირში და პრეტენდენტთა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

მაისში თბილისში გაიმართება ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატების **საკავშირო ტურნირი,** რომელშიც დაწესებული იქნება ოსტატის ნორმა. ზაფხულში ოსტატები გურგენიძე და ბუსლაევი მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ჩემპიონატში, ხოლო გულნარა ბუცხრიკიძე — „ბურევესტნიკის" ჩემპიონატში. ამავე საზოგადოების გუნდურ პირველობაში, რომელიც დონის როსტოვში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს თბილისის ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. აგვისტოში საკავშირო XXIX ჩემპიონატის ნახევარფინალებში ითამაშებს საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებული ორი მოჭადრაკე.

**გ. გამრეკელი.**

გაზეთ „კომუნისტის" მორიგი ნომერი გამოვა 30 აპრილს.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

## სამეცნიერო თემაზე

# კიბერნეტიკა და მედიცინა

**მეცნიერული** და ტექნიკური აზრის მძლავრი განვითარების შედეგად უკანასკნელ წლებში გამოჩნდნენ ისეთი განსაცვიფრებელი ავტომატური ხელსაწყოები, რომლებიც არა მარტო ადიდებენ ადამიანის ძალას, ცვლიან მის ხელებსა და ფეხებს, მხედველობისა და სმენის ორგანოებს, არამედ გონებრივ შრომასაც კი უადვილებენ. ავტომატური ხელსაწყოები მართავენ ურთულეს დაზგებსა და მთელ საწარმოთა მუშაობას, ხომალდების, თვითმფრინავებისა და კოსმოსური რაკეტების მოძრაობას, აწარმოებენ რთულ გაანგარიშებებს, თარგმნიან, სვამენ ავადმყოფობის დიაგნოზს და ა. შ.

რაზეა დამყარებული ასეთ სასწაულმოქმედ ხელსაწყოთა მუშაობა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა კიბერნეტიკა. რა არის კიბერნეტიკა?

მეცნიერების პროგრესი დაკავშირებულია მის სპეციალიზაციასთან. დროთა განმავლობაში მეცნიერება ისე განვითარდა, რომ მკვლევარებმა იწყეს მის ცალკეულ დარგებში დახელოვნება. თვითეული აღრმავებდა მხოლოდ თავის დარგს და ნაკლებად იცნობდა სხვა დარგებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების თვითეულ დარგს აქვს თავისი სპეციფიკური ამოცანები, თავისი საგანი, კვლევის თავისებური მეთოდი, მათ შორის არსებობს საერთოც. საქმე ის არის, რომ მეთოდი, რომელსაც მეცნიერების ერთ დარგში იყენებენ, შეიძლება გამოვიყენოთ სხვა დარგებშიც. ეს საერთო მეცნიერების განვითარებასთან ერთად არათუ მცირდება, არამედ სულ უფრო იზრდება. მთელი რიგი უდიდესი აღმოჩენები შესაძლებელი გახდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემთა განზოგადების შედეგად.

დროთა განმავლობაში გაჩნდა მეცნიერების ისეთი მოსაზღვრე დარგები, როგორიც არის, მაგალითად, ფიზიკური ქიმია, ბიოქიმია, ფიზიკური ასტრონომია და სხვ. საერთო არსებობს ფსიქოლოგიასა და მათემატიკას, მათემატიკასა და ენათმეცნიერებას, ფიზიოლოგიასა და ლოგიკას შორისაც, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან ერთმანეთს დაშორებულნი.

ადამიანები თანდათან დარწმუნდნენ, რომ მეცნიერების შემდგომი პროგრესის უზრუნველსაყოფად საჭიროა კავშირის დამყარება კვლევის სხვადასხვა დარგებს შორის. წარმოიშვა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადაჭრა შეუძლებელი იყო მეცნიერების მხოლოდ ერთ დარგში მოპოვებული მიღწევების გამოყენებით. მათი გადაჭრისათვის საჭირო შეიქნა სხვადასხვა მეცნიერების, მაგალითად, მათემატიკის, ფიზიოლოგიის, მათემატიკური ლოგიკის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების მიღწევათა ერთობლივი გამოყენება. ასე წარმოიშვა კვლევის ახალი დარგი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მეცნიერების მონაცემებს, მაგრამ არ შედის არც ერთ მათგანში. კვლევის ამ დარგს უწოდეს კიბერნეტიკა. ცნება „კიბერნეტიკა" წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან „კიბერნეტე", რაც ნიშნავს „მესაჭეს".

თავიანთ შრომაში „მანქანა და აზროვნება" ბ. როვენსკი და მისი თანაავტორები განმარტავენ კიბერნეტიკის საგანს და წერენ: კიბერნეტიკა არის მეცნიერება მართვის იმ კანონზომიერებათა შესახებ, რომლებიც საერთოა სხვადასხვა სისტემებისათვის. თუ ფიზიკა, ბიოლოგია, ფიზიოლოგია სხვადასხვა კუთხით იკვლევენ მეტად თუ ნაკლებად ერთგვაროვან, ერთმანეთთან მატერიალურად ახლო მდგომ საგნებსა და მოვლენებს, კიბერნეტიკა სწავლობს სხვადასხვა საგნებსა და მოვლენებს ერთი გარკვეული მიმართულებით. იგი სარგებლობს სხვადასხვა მეცნიერების მონაცემებით, იმით, რაც მათ აერთიანებს.

ბუნებაში არსებობს უთვალავი პროცესები. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა მექანიკური მოძრაობა. ადამიანმა აღმოაჩინა ამ მოძრაობის კანონები და შექმნა მეცნიერება — მექანიკა, რომლის პრინციპები საერთოა ყველა სახის მექანიკური მოძრაობისათვის, სადაც არ უნდა წარმოებდეს იგი, დედამიწაზე თუ მზეზე, სამყაროს უსასრულობაში თუ მოლეკულებსა და ატომებში. მექანიკის პრინციპებს ემორჩილება ცოცხალ არსებათა მოძრაობაც, რომელსაც სწავლობს სპეციალური მეცნიერება — ბიომექანიკა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ყოველგვარი მოძრაობა სამყაროში ემორჩილება მექანიკის ერთსა და იმავე კანონებს, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მოძრაობის პროცესები ორგანულ და არაორგანულ ბუნებაში ერთნაირია, რომ მათ შორის არ არსებობს არავითარი განსხვავება. მაგალითად, უსულო საგნების მოძრაობისას ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ერთ პროცესთან, ხოლო ადამიანის და სხვა ცოცხალ არსებათა მოძრაობის დროს — ორ პროცესთან. პირველი პროცესი — ეს არის მექანიკური მოძრაობა, რომელიც ემორჩილება მექანიკის კანონებს, მეორე პროცესია — მოძრაობის მართვის პროცესი. მექანიკური მოძრაობისა და მართვის პროცესები თვისებრივად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

ადამიანი მართავს თავისი სხეულის მოძრაობას საკუთარი სურვილის შესაბამისად. როცა ჩვენ ვზივართ, ვდგევართ, დავდივართ, ვლაპარაკობთ, ვკითხულობთ, ვწერთ, ვხატავთ, ორგანიზმში ადგილი აქვს ძაბვის განუწყვეტელ გადანაწილებას კუნთებს შორის. ამ დროს მოძრაობის ერთი წესი იცვლება მეორით. საკუთარი სხეულის მართვაში ჩვენ ხელს არ გვიშლის იმის არცოდნა, თუ რამდენი კუნთია ჩვენს ორგანიზმში და რომელი მათგანი უნდა დავჭიმოთ გარკვეული მოძრაობის შესასრულებლად და რომელი არა. ჩვენი სხეულის მოძრაობის მართვა წარმოებს ავტომატურად, როგორც ბუნებრივი მოვლენა.

მაგრამ ადამიანი მართავს არა მარტო თავისი სხეულის მოძრაობას, თავის მოქმედებას, არამედ ცდილობს მართოს ბუნების სხვა მოვლენებიც. მართოს მის მიერ შექმნილი სხვადასხვა მანქანების მოძრაობა, მართოს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური პროცესები. ადამიანი ისწრაფვის იცოდეს ამ პროცესების მართვის კანონები და ამაში მას ეხმარება კიბერნეტიკა — მეცნიერება მართვის საერთო პრინციპების შესახებ.

კიბერნეტიკა გვასწავლის, რომ მართვისა და კავშირის პროცესები, სადაც არ უნდა წარმოებდნენ ისინი — ორგანულ თუ არაორგანულ ბუნებაში, ემორჩილებიან ერთსა და იმავე ობიექტურ კანონებს.

კიბერნეტიკა ახალგაზრდა მეცნიერებაა. მიუხედავად ამისა, იგი თავისი განშტოებებით საპატიო ადგილს იკავებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მედიცინაში, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში იგი საშუალებას გვაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესოთ დაავადებათა სტატისტიკა, სწრაფად განვსაზღვროთ ის, თუ რამდენად ეფექტურია ესა თუ ის პროფილაქტიკური ღონისძიება და სამკურნალო საშუალება.

კიბერნეტიკას დიდი ცვლილებები შეაქვს სამედიცინო გამოკვლევებში. მის საფუძველზე შეიქმნა და იქმნება სხვადასხვა ხელსაწყოები (ბიოლოგიური ქსოვილების მიკროსტრუქტურისა და რხევათა ანალიზატორები, პერიოდომეტრები, ციკლოგრაფები და სხვ.), რომლებიც აჩქარებენ და აადვილებენ კვლევით სამუშაოებს ლაბორატორიებში.

კიბერნეტიკას დიდი გამოყენება აქვს აგრეთვე დიაგნოსტიკაში. სულ უფრო ფართოდ იკაფავს გზას ავტომატური დიაგნოსტიკა, რაც განსაკუთრებით ძვირფასია ქირურგიული კლინიკებისათვის, სადაც ექიმის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული სრული და საიმედო ინფორმაციის მიღებაზე ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ.

პროფ. ვ. პარინის შეხედულებით დიაგნოსტიკური ავტომატების განვითარება წარიმართება ორი მიმართულებით: შეიქმნება პატარა მანქანები სპეციალური კლინიკებისათვის, რომელთაც თავიანთ „მეხსიერებაში" ექნებათ დაახლოებით 100 სხვადასხვა დაავადებისათვის 10 ათასამდე სიმპტომი. ეს მანქანები იქნება თავისებური ავტომატური ცნობარი, რომლის მონაცემები ხელს შეუწყობს დიაგნოსტიკის შემდგომ სრულყოფას. მეორე ტიპის გადიდებული „მახსოვრობის" და უფრო რთული პროგრამის მანქანები გამოყენებული იქნება მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში — სპეციალისტების მოწინავე გამოცდილებისა და სამედიცინო მეცნიერების ცალკეული დარგების ლიტერატურული მონაცემების განზოგადებისათვის.

კიბერნეტიკის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ისეთი ხელოვნური ორგანოებისა და ფიზიოლოგიური სისტემების შექმნა, როგორიც არის, მაგალითად, კიდურების აქტიური პროთეზები, რომლებსაც მართავენ კუნთების გადარჩენილი ნაწილის ან ეფექტური ნერვული გზების ბიოელექტრული იმპულსებით. სპეციალურ გარდამქმნელ გადაცემათა გამოყენება საშუალებას მოგვცემს მივანიჭოთ ამ პროთეზებს გარემოსადმი „მგრძნობიარობა".

როგორც პრესის მონაცემებიდან ირკვევა, მუშაობა წარმოებს სპეციალური აპარატების შესაქმნელად ხელოვნური სუნთქვისათვის. ასეთი აპარატები იმუშავებენ სუნთქვის ორგანოთა კუნთების ბიოდენებით და შესაძლებელს გახდიან ხელოვნური სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის სრულ ავტომატიზაციას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია ჰიპერტონიით დაავადებულებისათვის შეიქმნას პატარა, ადვილად სატარებელი აპარატი, რომელიც მოახდენს არტერიული წნევის რეგულირებას. ცდები წარმოებს აგრეთვე სმენისა და მხედველობის ხელოვნური ორგანოების შექმნისათვის.

კიბერნეტიკის მზარდი როლი ბიოლოგიასა და მედიცინაში ბიოლოგებისა და ექიმებისაგან მოითხოვს ჩვენი საუკუნის მოწინავე საბუნებისმეტყველო მეცნიერების — ფიზიკის, კერძოდ, ელექტრონიკისა და კიბერნეტიკის საფუძვლიან დაუფლებას. ყველა ექიმი უნდა იცნობდეს უახლეს ლიტერატურას იმ დიდი როლის შესახებ, რომელსაც მეცნიერების ეს დარგები ასრულებენ ბიოლოგიასა და მედიცინაში, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

**დოც. ტ. გუნჯუა,**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე.

**28 აპრილი**

**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა (მე-2 აბონ. მე-9 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ქართლის ჩირაღდნები, **მარჯანიშვილის სახელობის** — მღელვარე დღეები, **გრიბოედოვის სახელობის** — ბედნიერი უიღბლო (მე-4 აბონ. მე-4 წარმ.). **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ორი ქალიშვილი (რკინიგზელთა სახლში). **სანკულტურის** — თეთრი კურდღელი (აბონ. № 9). **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნევის შევარდენი (აბონ. № 43, 7 ს.). **ფილარმონიის საზაფხულო** — რუჯიერო რიჩი (ვიოლინო, აშშ).

**ტელევიზია:** 18.15 — სპორტული გადაცემები, 21.00 — უფროსკლასელთათვის — „ღირსშესანიშნავი თარიღები", 21.30 — სატელევიზიო ჟურნალი — „ხელოვნება" №3, 22.10 — ახალი ამბები.

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:** თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის—3-72-80, სამდივნოსი—3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების—3-73-24, საილუსტრაციო—3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

შა ააა22 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.